ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი, 3 აპრილი 1997 №37 (402) ფასი 40 თეთრი

FRANCE 98

# იტალიის პირველი დანაკლისი

ფეხბურთი

## ეს იყო აგრესია სიბრძნის წინააღმდეგ

## თქვა გუშინ ხოჟუვში რეზო ძოძუაშვილმა

**პოლონეთი 0:0 იტალია**

**პოლონეთი:** ვოზნიაკი, ხკეიპეკი, ზელინსკი, ვოიტალა, ვალდოხი, ჩიტკო, სვერჩევსკი (ვარეიხა 42), ბალუშინსკი (კალუჟნი 65), ნოვაკი (კოვალჩიკი 46), იუსკოვიაკი, ლედვონი

**იტალია:** პერუცი, ფერარა, კანავარო, კოსტაკურტა, მალდინი, დილივიო, დ. ბაჯო, დი მატეო, ფუზერი (კარბონი 84), ვიერი, ძოლა

**გაფრთხილება:** ვიერი, ბაჯო, ლედვონი, კოსტაკურტა, დი მატეო

**მსაჯი:** კიმ ნილსენი (დანია)

ჩვენ, ქართველებს, პოლონელთა და იტალიელთა გუნდებისადმი საგანგებო ინტერესი რომ არ გაგვაჩნდეს, უბრალოდ ვიტყოდით, მათი თამაში სწრაფად, უშელავათოდ, მაგრამ ყოველგვარი ფანტაზიის გარეშე წარიმართაო და ამით დავასრულებდით. საქმე კი სწორად ისაა, რომ ერთიცა და მეორეც ჩვენს ნაკრებს უნდა ეთამაშოს, ასეთ დროს კი ალქმა სხვანაირია. ახლა ვამბობთ, მეტოქეთა ჯანი და წინ და უკან სირბილის უნარი გასაოცარია; აღფრთოვანებას იწვევს, რამდენჯერ ეცემიან და დგებიან მათი ფეხბურთელები; შემაშფოთებელია, რა მჭიდროდ შეუძლიათ თამაში და რა ჯიუტად ცდილობენ მწვრთნელთა დავალების შესრულებას. დიახ, ჩვენს თანაჯგუფელთა წუხანდელ შეხვედრაში იყო სახიფათო მომენტები, მაგრამ თითქმის ყველა ვინმეს შეცდომით გახლდათ გამოწვეული და არა შემტევთა შემოქმედებითი ალმაფრენით. შეცდომები კი იშვიათად მოსდიოდათ.

24-ე წუთზე ძოლამ სახიფათო ჯარიმა დაარტყა. ცოცხალ კედელში ექვსი პოლონელი და ორი მიტმასნილი იტალიელი იდგა. 30-ე წუთზე ნოვაკის დარტყმული მალდინის ფეხმა აისხლიტა. ბურთი საჯარიმოში, მარცხენა მხარეს იუსკოვიაკს მიუვიდა, რომლის შეუჩერებლივ დარტყმული პერუცისგან მარცხენა ძელს ოდნავ ასცდა. 37-ე წუთზე სვერჩევსკი მარცხნიდან შუისკენ აწვდის. აქედან ჩიტკომ დაარტყა შეუჩერებლად, მაგრამ ააცილა. მე-40 წუთმა თამაშის ყველაზე მწვავე ეპიზოდი მოიტანა. პოლონელები მარცხენა ფრთიდან ჯარიმას არტყამდნენ. იუსკოვიაკის გასროლილი პერუციმ ხელში ვერ შეიმაგრა, ბურთს ვოიტალა გამოუხტა, მაღლა ფრენაში მეკარეს აჯობა, თაურიც დაჰკრა, მაგრამ... 42-ე წუთზე დი ლივიომ მარჯვნიდან ჩააწოდა კუთხური. ვიერიმ ივარგა, პენალტის ნიშნულიდან ძლიერი თაური დაარტყა, თუმცა ივარგა ვოზნიაკმაც — ეფექტური ნახტომით ბურთი კუთხურზე გადააგდო. 67-ე წუთზე ძოლამ საჯარიმოში დაამუშავა ბურთი და დაარტყა, მაგრამ ვოზნიაკმა ამჯერადაც იმარჯვა.

ამრიგად, თამაში, რომელმაც ძალიან მაღალი ტემპით და ერთმანეთის შეტევათა ჩაშლის უბადლო უნარით დაგვამახსოვრა თავი, უგოლოდ დასრულდა. დანარჩენ კომპონენტთა სტატისტიკა კი ასეთი გახლდათ: ოფსაიდში პოლონელები ოთხჯერ დარჩნენ, იტალიელები არცერთხელ, კარში დარტყმები 7:6 იყო მასპინძელთა სასარგებლოდ, კუთხურები პირიქით — 1:6 გახლდათ, ჯარიმები კი — 16:19.

მატჩის შემდეგ, ბუნებრივია, პრეს-კონფერენცია შედგა, რომელზეც ორივე მწვრთნელმა ილაპარაკა, მაგრამ ვფიქრობთ, ქართველი მკითხველისთვის ყველაზე საინტერესო ჩვენი ეროვნული გუნდის იქ მყოფი ერთ-ერთი ხელმძღვანელის რევაზ ძოძუაშვილის მოსაზრება გახლდათ:

— ეს იყო ტაქტიკა ტაქტიკის წინააღმდეგ. პოლონეთმა 3-5-2 ითამაშა, იტალიამ 4-4-2. ინგლის — იტალიის მატჩის შემდეგ პოლონელთათვის სამი მცველით მოედანზე გასვლა შესაძლოა ოდნავ სარისკოც იყო, მაგრამ გაუმართლათ. განსხვავება მათ და ინგლისელთა სამ მცველს შორის ის გახლდათ, რომ პოლონელთა სამეულიდან ორმა პერსონალურად, თავდამსხმელის წინააღმდეგ ითამაშა, ლონდონში კი ზონური დაცვა ვიხილეთ. გარდა ამისა, შეიძლება ითქვას, რომ ამ თამაშში პოლონელების აგრესია სიბრძნეს დაუპირისპირდა. „უემბლის" და დღევანდელი მატჩების შედარებისას იმასაც აღვნიშნავ, რომ დღეს იტალია უფრო დამძიმებული მეჩვენა. პოლონელებში მეკარესა და იუსკოვიაკს გამოვარჩევდი. ისე, იუსკოვიაკს თანაგუნდელები მოედნის სიღრმიდან მეტად რომ დახმარებოდნენ, მათთვის უმჯობესი იქნებოდა. საბოლოო შედეგი სამართლიანი იყო.

ახლა კი თამაშის მონაწილეთა მწვრთნელების ნათქვამებიც მოვყვეთ.

**ანტონინ პეხნიჩეკი:** — კარგი თამაში გამოვიდა. ვისაც ფეხბურთი ესმის, დამეთანხმება, რომ შედეგი სამართლიანი იყო. ჩვენ ოპტიმალური ტაქტიკა შევიმუშავეთ. ფეხბურთელებმა დავალება ზუსტად შეასრულეს, პრეტენზია არავისთან მაქვს. თუმცა, მატჩის წინ მოგებას ვესწრაფვოდი, ვფიქრობ, ჯერ არაფერი დაგვიკარგავს. იტალიელების მიერ მიღებული ოთხი ყვითელი ბარათი ბევრ რამეზე მეტყველებს — ნეტავ გენახათ, რა გახარებულები იყვნენ მატჩის შემდეგ გასახდელისკენ მიმავალ გვირაბში.

კითხვაზე, თავიდანვე რად არ ათამაშა კოვალჩიკ-იუსკოვიაკის დუეტი, პეხნიჩეკმა უპასუხა:

— თავიდანვე ამდენ ფორვარდს ვერ გავიყვანდი. ვიმეორებ, ტაქტიკა ოპტიმალური გვქონდა. მე რომ 6 ფორვარდი გამეყვანა, 0:6-ს წავაგებდით. გულწრფელად გეტყვით, დღეს ჩვენი მაქსიმუმი ვაჩვენეთ, ამაზე მეტი არ ძალგვიძს.

**ჩეზარე მალდინი:** — დღეს ჩვენი ფეხბურთელები ცოტა დაღლილები ჩანდნენ. მეშინოდა, წინა და დღევანდელ თამაშებს შორის დროის მოკლე მონაკვეთს ცუდი დაღი არ დაესვა გუნდისთვის. ჩემს ფეხბურთელებს არც გავაკრიტიკებ და არც ხოტბას შევასხამ. მათ ზუსტად შეასრულეს დავალება.

— ნუთუ ძოლათიც კმაყოფილი ხართ? სკეიპეკმა ხომ იგი ჩაკეტა...

— მან მეტოქის საგანგებო ყურადღება მოითხოვა, ეს კი უკვე დიდი საქმეა.

— თვლით, რომ ფინალური ეტაპისკენ მორიგი ნაბიჯი გადადგით?

— ნაბიჯს მაშინ დავარქმევდი, რომ მოგვეგო, თუმცა ბევრიც არაფერი დაგვიკარგავს.

**დავით ძაძაბაძე ხოჟუვიდან**

### I ჯგუფი

**ხორვატია 3:3 სლოვენია**

1:0 პროსინეჩკი (33), 2:0 ბობანი (40), 2:1 გლიშა (45), 3:1 ბობანი (60), 3:2, 3:3 გლიშა (65,67)

**ბოსნია 0:1 საბერძნეთი**

0:1 ფრანცესკოსი (73)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 8:3 | 10 |
| დანია | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| ხორვატია | 4 | 1 | 3 | 0 | 9:6 | 6 |
| ბოსნია | 4 | 1 | 0 | 3 | 3:9 | 3 |
| სლოვენია | 4 | 0 | 1 | 3 | 4:9 | 1 |

### II ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 5 | 4 | 1 | 0 | 8:1 | 13 |
| ინგლისი | 4 | 3 | 0 | 1 | 7:2 | 9 |
| პოლონეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| საქართველო | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |
| მოლდოვა | 4 | 0 | 0 | 4 | 2:11 | 0 |

### III ჯგუფი

**აზერბაიჯანი 1:2 ფინეთი**

0:1 ლიტმანენი (25), 0:2 პაატელაინენი (65), 1:2 სულეიმანოვი (83)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 3 | 3 | 0 | 0 | 9:0 | 9 |
| უნგრეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| ფინეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| შვეიცარია | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| აზერბაიჯანი | 4 | 1 | 0 | 3 | 2:10 | 3 |

### IV ჯგუფი

**შოტლანდია 2:0 ავსტრია**

1:0, 2:0 გალაჰერი (25,78)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შოტლანდია | 6 | 4 | 2 | 0 | 7:0 | 14 |
| ავსტრია | 4 | 2 | 1 | 1 | 3:3 | 7 |
| შვედეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 7:4 | 6 |
| ესტონეთი | 4 | 1 | 1 | 2 | 1:3 | 4 |
| ბელარუსი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:7 | 4 |
| ლატვია | 4 | 0 | 1 | 3 | 3:7 | 1 |

### V ჯგუფი

**ბულგარეთი 4:1 კვიპროსი**

1:0 ბორიმიროვი (1), 2:0, 3:0 კოსტადინოვი (35, 45), 3:1 ოკასი (61), 4:1 იორდანოვი (67)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ისრაელი | 5 | 3 | 1 | 1 | 7:4 | 10 |
| ბულგარეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 10:5 | 9 |
| რუსეთი | 4 | 2 | 2 | 0 | 10:2 | 8 |
| კვიპროსი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:12 | 4 |
| ლუქსემბურგი | 4 | 0 | 0 | 4 | 1:10 | 0 |

### VI ჯგუფი

**ჩეხეთი 1:2 იუგოსლავია**

0:1 მიატოვიჩი (27), 1:1 ბეიბლი (75), 1:2 მილოშევიჩი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 6 | 5 | 1 | 0 | 19:3 | 16 |
| იუგოსლავია | 6 | 5 | 0 | 1 | 20:4 | 15 |
| სლოვაკეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 14:5 | 12 |
| ჩეხეთი | 4 | 1 | 1 | 2 | 7:3 | 4 |
| ფარერები | 5 | 0 | 0 | 5 | 5:22 | 0 |
| მალტა | 6 | 0 | 0 | 6 | 0:27 | 0 |

### VII ჯგუფი

**თურქეთი 1:0 ჰოლანდია**

1:0 ჰაკანი (52)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 5 | 4 | 0 | 1 | 17:3 | 12 |
| ბელგია | 4 | 3 | 0 | 1 | 7:5 | 9 |
| თურქეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 9:2 | 7 |
| უელსი | 6 | 2 | 1 | 3 | 14:12 | 7 |
| სან მარინო | 5 | 0 | 0 | 5 | 0:25 | 0 |

### VIII ჯგუფი

**მაკედონია 3:2 ირლანდია**

0:1 მაკლაფლინი (8), 1:1, 2:1 სტოიკოვსკი (29 პ, 44 პ), 3:1 ფრისტოვი (60), 3:2 კელი (78)

**ლიტვა 0:1 რუმინეთი**

0:1 მოლდოვანი (75)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 5 | 5 | 0 | 0 | 19:0 | 15 |
| მაკედონია | 6 | 3 | 1 | 2 | 18:10 | 10 |
| ირლანდია | 4 | 2 | 1 | 1 | 10:3 | 7 |
| ლიტვა | 4 | 2 | 0 | 2 | 4:5 | 6 |
| ისლანდია | 4 | 0 | 2 | 2 | 1:7 | 2 |
| ლიხტენშტაინი | 5 | 0 | 0 | 5 | 2:29 | 0 |

### IX ჯგუფი

**უკრაინა 2:1 ჩრდ. ირლანდია**

1:0 კოსოვსკი (3), 1:1 დაუი (15პ), 2:1 შევჩენკო (71)

**ალბანეთი 2:3 გერმანია**

1:0 კოლა (62 პ), 1:1, 1:2, 1:3 კირსტენი (63, 80, 84), 2:3 კოლა (90პ)

0:0-ზე ალბანეთმა კიდევ ერთი პენალტი ვერ გაიტანა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 5 | 4 | 0 | 1 | 6:3 | 12 |
| პორტუგალია | 6 | 2 | 3 | 1 | 5:2 | 9 |
| გერმანია | 4 | 2 | 2 | 0 | 9:4 | 8 |
| ჩრ. ირლანდია | 6 | 1 | 3 | 2 | 5:5 | 6 |
| სომხეთი | 4 | 0 | 3 | 1 | 3:7 | 3 |
| ალბანეთი | 5 | 0 | 1 | 4 | 3:10 | 1 |

შაბათის „სარბიელში"

**!! სუპერ !! კონკურსი**

**! მთავარი პრიზი: ორი საგზური ესპანეთში !**

# წილისყრა სრულიად საიდუმლოდ!

საქართველოს თასის გათამაშების მეოთხედფინალი რომ ჩამთავრდა და ნახევარფინალისტები გაირკვნენ, ფეხბურთის ფედერაციას მივაკითხეთ წილსაყარი ოთხეულის ამბავთა შესატყობად. ფედერაციაში გაკვირვებულებმა გადმოგვხედეს, რა დროს ნახევარფინალებია, დრო ჯერ საკმაოა, წილისყრას აპრილის შუა რიცხვებში მოვაწყობთო. ფედერაციას მერეც რამდენჯერმე მივაკითხეთ, მაგრამ პასუხი მუდამ ეს ერთი იყო. არ ვიცით, რა ხელს აძლევდა ფედერაციას წილისყრის გასაიდუმლოება — წყვილები ხომ, ფაქტობრივად, გარკვეული გახლდათ, რადგან ფედერაციის მოხელეები მათ მიერ ადრევე დაკანონებულ ტერიტორიულ პრინციპს ვერა და ვერ შეელიენენ და დასადგენი ოდენ ნახევარფინალურ შეხვედრათა გამართვის დრო და პირველ მასპინძელთა ვინაობა იყო. მერე ალბათ ისიც იფიქრეს, ამ ჟურნალისტებს რაღა ეკითხებათ, წილისყრა სულაც უჩუმრად მოვაწყოთ და აკი მოუწყვიათ კიდეც. 30 მარტს, კვირას, ყოველივე არხეინად და თათარიახნად მოუთავებიათ. საკითხავია, იქ რომ ჟურნალისტებიც ყოფილიყვნენ, ხელს შეუშლიდნენ თუ წილისყრას ჩაუშლიდნენ? მაგრამ, ეტყობა, ასე იმიტომ მოიქცნენ, ფედერაციის ორგანო — „ქართულ ფეხბურთს" პირველს „ემცნო საზოგადოებისთვის" წილისყრის შედეგები. ამ საქმეში პრიორიტეტს ხომ ჯიუტად იჩემებს ფედერაციის პრეს-სამსახური და სულაც არ ანაღვლებს ის, რომ გარეშენი გაკვირვებულები კითხულობენ, მაშ რაღა პრეს-სამსახური ხართ, თუ მარტო საკუთარი თავისთვის ირჯებით და თქვენს მოწოდებად ჟურნალისტებისთვის ინფორმაციის დამალვა გაგიხდიათო...

თასის გათამაშების პირველი ნახევარფინალური მატჩები 12 აპრილს ჩატარდება. „დინამო" „მერანს" უმასპინძლებს, „ოდიში" კი „ბათუმს", საპასუხო შეხვედრები 20 აპრილს გაიმართება.

# დღეს სპორტის სასახლეში

## ბელგიელებს უნდა მოვუგოთ

დღეს და 6 აპრილს საქართველოს ხელბურთელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ბოლო შეხვედრებს გამართავს ბელგიელებთან. გეხსომებათ, ფინელებთან მატჩის შემდეგ კომისარი უკმაყოფილო დარჩა ჩვენი მასპინძლობით, უფრო სწორად, ასკ-ს დარბაზით და გასახდელებით, რის გამოც შვეიცარიასთან შეხვედრის თბილისში გამართვა სათუო შეიქნა. რა მდგომარეობაა ახლა, ბელგიელებთან შეხვედრის წინ? ამ კითხვით მივმართეთ ხელბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს მერაბ მეტრეველს.

— შვეიცარიელებთან შეხვედრის შემდეგ მატჩის კომისარმა მოედანიც და მასპინძლობაც დადებითად შეგვიფასა. ის კი არა, ევროპის ხელბურთის ფედერაციისგან შექებაც კი დავიმსახურეთ იმის გამო, რომ ფინელებთან შეხვედრის შემდეგ გამოთქმული შენიშვნები გავითვალისწინეთ და ყოველმხრივ ორგანიზებულნი შევხვდით შვეიცარიელებთან მატჩს.

**— როგორ ემზადებოდა გუნდი ბელგიელებთან შესახვედრად, ჩამოვიდნენ თუ არა ლეგიონერები?**

— ჩვენს გუნდში ისეთი განწყობაა, რომ ბიჭები ბელგიელებთან ორივე შეხვედრის მოგებაზე ფიქრობენ. შემადგენლობა იგივეა, რაც წინა ორ მეტოქესთან, თუმცა ლეგიონერთა ჩამოსვლასთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემებიც გაჩნდა ·ბერძნეთში ·თამაშე ლევან გელაშვილს არაფერი დააბრკოლებს, მაკედონიაში მოთამაშე ჩვენს სამეულს კი ფინანსური პრობლემები წარმოეშვა და გუნდიც, სადაც ისინი თამაშობენ, თავს იკავებდა მათი გამოშვებისგან. ბოლოს ყველაფერი სასიკეთოდ დამთავრდა და ტიტე კალანდაძე, ალეკო ბოყოჩაძე და ირაკლი კეკელიძე ბელგიელებთან ითამაშებენ.

დღევანდელი შეხვედრა სპორტის სასახლეში 19 საათზე დაიწყება. საპასუხო მატჩი ბელგიის პატარა ქალაქ ამაიში კვირას გაიმართება.





# ერთი შეკითხვა ფეხბურთის ფედერაციას

ცოტა ხნის წინ იყო, რომ ვჩიოდით, ფედერაცია მატჩების ოქმებს გვიმალავსო. ახლა იმის თქმაც მოგვიწევს, გუნდების განაცხადებსაც მზრუნველი კრუხივით გადაფოფ-რებიაო. ასე დარწმუნებით იმიტომ ვამბობთ, რომ თვით ფედერაციის გენსეკმა გვითხრა, განაცხადების გამოქვეყნებას ჩვენგან ვერ ელირსებითო.

მადლობა ღმერთს, ოქმები და განაცხადები მხოლოდ იმად არ გვჭირდება, საქართველოს ჩემპიონატის მონაწილეებს რომ გავეცნოთ. იმის მიუხედავად, რომ გენსეკი „საგნის" არცოდნას გვიკიჟინებს, ერთს დავიკვეხნით — მონაწილეთა უმრავლესობას ისე კი ვიცნობთ, რომელიმეს ნაცვლად „კუკლა" არ შემოგვაჩეჩონ.

მე-17 ტურის „მერანი" — „სამტრედიის" მატჩის ოქმი გვაუწყებს, რომ „სამტრედიის" კარში ლაშა ფრანგიშვილი მდგარა. არადა, ასე რომ არ ყოფილა, აქ დაბეჭდილი ფოტოები დაგარწმუნებთ: 1 და 2 ფოტოზე „სამტრედია" — „დინამოს" მატჩში მონაწილე მცველი ლაშა ფრანგიშვილია აღბეჭდილი, 3, 4 და 5 ფოტოებზე კი „მერანი" — „სამტრედიის" შეხვედრისას სტუმართა კარში მდგარი და ლაშა ფრანგიშვილად გასაღებული.

რაკი ისეა, რომ ფრანგიშვილი კარში არ მდგარა, უფლება გვაქვს, ვიკითხოთ: ვინ არის ამ ფოტოებზე აღბეჭდილი მეკარე?







**ოდიში 1:3 დინამო**

**ოდიში:** აბუსერიძე, ჯოჯუა, გუჩუა (ჯაბუა 73), ქედია, მიქაძე, ბარქაია, ახვლედიანი, გაბედავა, ნიქაიშვილი (კ. სიჭინავა 72), ფანცულაია, კალანდაძე

**დინამო:** ზოიძე, კალაძე, ჯულაძე, დიდავა, მაჭავარიანი, გოგიჩაიშვილი, ჩხაიძე (დავითაძე 76), დემეტრაძე, კერძევაძე, ანჩაბაძე, ხომერიკი (ცქიტიშვილი 75)

1:0 გაბედავა (21), 1:1 ხომერიკი (45), 1:2 ხომერიკი (56), 1:3 დემეტრაძე (90)

მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

**მამუკა კვარაცხელია ზუგდიდიდან**

# ოდიში — დინამო: ასერგასის დღე

ამ თამაშს ზუგდიდი, არც მეტი, არც ნაკლები, 160 დღე ელოდა. შარშანდელ 13 ოქტომბერს გასამართი ეს შეხვედრა, როგორც იქნა, შედგა. ორივე გუნდს წამყვანი მოთამაშეები აკლდნენ. მასპინძლებმა კვიტატიანი და კორძალიძე მოისაკლისეს: გელას ოჯახური პრობლემები შეჰქმნოდა და მინდორზე ამიტომ ვერ გამოვიდა, კორძალიძეს კი „ოდიშის" ბოლნისში 0:1 დამარცხების შემდეგ გუნდი დაუტოვებია — ვხედავ, იმედები ვერ გავიმართლეთ და ბარემ ახლავე გამიშვითო. კლუბის ხელმძღვანელები გაგებით მოჰკიდებიან ვეტერანის თხოვნას და ოთარი ულაპარაკოდ გაუთავისუფლებიათ. თბილისელთაგან კი, სხვადასხვა მიზეზთა გამო, ზუგდიდში არ წამოსულან კიკნაძე და ყიზილაშვილი.

მოკლედ, ეს რამდენჯერმე გადადებული შეხვედრა ბოლოს და ბოლოს შედგა და ისეთი ბრძოლა გაჩაღდა, ამდენი ხნის ლოდინად ნამდვილად ღირდა. სახიფათო მომენტები მრავლად იქმნებოდა ხან ერთ, ხანაც მეორე კართან. პირველ ტაიმში მასპინძელთა ნახევარდაცვა საკადრისად ვერ ირჯებოდა, ამიტომ თავდამსხმელთა მომარაგება ძირითადად მცველებს უწევდათ. ისინიც გრძელ გადაცემებს მიეძალნენ, წინახაზელები კი, განსაკუთრებით ჯონი კალანდაძე, ერთობ მწვავედ მოქმედებდნენ. დინამოელთაგან თამაშს ანჩაბაძე უძღვებოდა უნარიანად.

პირველი ხიფათი სტუმართა კართან მე-10 წუთზე შეიქმნა: ხელსაყრელ პოზიციაში მყოფ კალანდაძეს დასარტყმელად მორგებული ბურთი კალაძემ ფეხიდან ააცალა. ამის მერე გოგიჩაიშვილმა მოაწყო ჩვეული რეიდი და გამოზომილი პასით კერძევაძე მეკარესთან პირისპირ გაიყვანა — ზუგდიდელები აბუსერიძემ იხსნა. ორიოდ წუთში კალანდაძის სახიფათო დარტყმა ზოიძემ მოიგერია, მაგრამ თავდამსხმელი მაინც არ ისვენებს და მე-18 წუთზე ძელს ახვედრებს ბურთს. ამ დროისთვის გოლი მომწიფებული გახლდათ და აკი გავიდა კიდეც: 21-ე წუთზე სტუმართა კართან, ასე ვთქვათ, ჩვეულებრივი ჯარიმა დაინიშნა. დინამოელებმა, ბუნებრივია, ცოცხალი კედელი აღმართეს. გაბედავამ მოჭრილი, დაბალი დარტყმით არცთუ ძლიერად გაგზავნა ბურთი ზოიძის კარისკენ. ბურთს ყველამ თვალი გააყოლა და ისიც მშვიდად შეგორდა კარში მარცხენა ძელთან ახლოს. ასე გაიხსნა ანგარიში და ამან თამაში უფრო გაამწვავა. მეტოქეთა მოქმედებანი გახისტდა და აკი ლაცაბიძემ რამდენჯერმე გააჩერა წამზომი, რათა ექიმები დაშავებულებს დახმარებოდნენ. მასპინძლებს ანგარიშის გაზრდაც შეეძლოთ, მაგრამ გაბედავამ, ფანცულაიამ და კალანდაძემ ვერ [illegible] დავამ ჯერ ფანცულაიას გაუცუდა გარტყა, [illegible] ლში ნაჯაფარი. თავის მხრივ ფანცულაიამაც მოსინჯა ძალა და დაახლოებით 30-მეტრიანი აბრაგანი ზარიზას მცირედით გადააცილა. ამ ხნის მანძილზე დინამოელები გულხელდაკრეფილები როდი იყვნენ. მათი კონტრიერიშები საკმაოდ მწვავე გახლდათ. ანგარიშის გათანაბრება კერძევაძესაც შეეძლო და დემეტრაძესაც, მაგრამ ჯერ ჯოჯუამ იფორჩადა, მერე კი აბუსერიძემ, როცა დემეტრაძის შეუჩერებლივ დარტყმულს დაუხვდა. დინამოელებმა ტაიმის ბოლო წუთზე იხეირეს: გათამაშებული კუთხური ჩხაიძემ საჯარიმოში ჩააწოდა, აქ კი ხომერიკმა მასპინძელთა მეკარეს და მცველებს შეცდომა არ აპატია და თავურით ანგარიში გაათანაბრა. ტაიმი ასეც მორჩა. სტადიონზე მყოფნი მეორე ნახევარშიც მწვავე ბრძოლას ელოდნენ, მაგრამ მასპინძლებმა ვეღარ გაძლეს. პირველ ნახევარში ისედაც უმოქმედო ოდიშელთა ნახევარდაცვა მთლად გაჩერდა, ანჩაბაძე კი მინდვრის შუაგულს დაეპატრონა. სტუმრებს თამაშის განახლებისთანავე შეეძლოთ დაწინაურება და მალე ეს შეძლეს კიდეც: ანჩაბაძემ მცველი ჩამოიცილა და ბურთი ხომერიკს დაუგორა, ამან კი არ ააცილა. თბილისელებს შემდგომაც და არაერთხელ შეეძლოთ გატანა, მაგრამ ეს მხოლოდ თამაშის ბოლო წუთზე მოახერხეს: საჯარიმოში მარჯვნიდან შეჭრილმა დემეტრაძემ მიქაძესთან ორთაბრძოლაში მაინც მოახერხა დარტყმა და ბურთი მარჯვენა ძელთან აფართხალდა ბადეში. მართალია, მანამდე ოდიშელებს მეორე ნახევარში ერთადერთი საგოლე მომენტი გაუცუდდათ, მაგრამ საბოლოო შედეგი მაინც ლოგიკური გახლდათ. გოლის გატანა ისევ იმ გაბედავას შეეძლო, რომელმაც პირველ ნახევარში თავისიანები ჯერ გაახარა, მერე კი ორი საგოლე მომენტის გაცუდებით გულიც დასწყვიტა: ჭედიამ ახალგაზრდა თანაგუნდელი ზოიძესთან პირისპირ გაიყვანა, გაბედავამ წინგამოსულ ირაკლის ბურთი თავზე კი გადაუგდო, მაგრამ კარს მცირედით აცილა. ეს იყო და ეს. „ოდიშმა" ეროვნულ ჩემპიონატების ისტორიაში პირველად წააგო შინ „დინამოსთან".

მატჩის შემდეგ მასპინძელთა თავკაცმა მერაბ ზურცილავამ ეს გვითხრა: „ამჟამად მთელი ყურადღება თასის ნახევარფინალური თამაშებისკენ გვაქვს მიპყრობილი — „ბათუმთან" შესახვედრად ვემზადებით. ჩემპიონატში საპრიზო ადგილზე გასვლა თითქმის გამორიცხულია, ამიტომ თასისთვის ბრძოლაა დაგვრჩენია. რაც შეეხება კორძალიძეს, იგი გუნდიდან ალბათ იმიტომ წავიდა, რომ არ სურდა კარიერის ბოლოს მისთვის ვინმეს ესტვინა ან ეგინებინა..."

## ჟორდანია პრეზიდენტთა თავკაცია

30 მარტს სასტუმრო „მეტეხში" გამართულ საფეხბურთო კლუბების პრეზიდენტთა შეკრებაზე მერაბ ჟორდანია ერთხმად აირჩიეს „პრეზიდენტთა საბჭოს" თავკაცად. საბჭოს გამგეობაში შევიდნენ: ბესიკ ჯიქია („ტორპედო"), დავით კლდიაშვილი („ბათუმი"), ვახტანგ ხაინდრავა („კოლხეთი") და ნუგზარ ნავაძე („მერანი").

## ერთი დღეც დაისვენეთ

პირველი წრის ერთადერთი გადადებული და მრავალტანჯული მატჩი „დინამო" — „ოდიში", როგორც იქნა, გუშინ ჩატარდა. ამ შეხვედრით, ღვთის მადლით, მერვე ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრე კი ჩამთავრდა, მაგრამ თბილისელებს და ზუგდიდელებს მეოცე ტურმაც უწიათ, ასე რომ, სამ დღეში ორი მატჩის გამართვა უწევდათ. ამიტომ ფეხბურთის ფედერაციამ „დინამოს" და „ოდიშს" მეოცე ტურის შეხვედრები ერთი დღით გადაუვადა. ამრიგად, „დინამო" — „გორდა" და „ოდიში" — „ივერია" ოთხის ნაცვლად 5 აპრილს ითამაშებენ.

## წელსაც ავაზა

„ავაზას" საფეხბურთო სკოლის ბაზაზე მეორედ მოეწყო ნორჩ ფეხბურთელთა ტურნირი ამ სკოლის ტრაგიკულად დაღუპული პედაგოგის ანზორ ანდღულაძის პრიზზე. მონაწილე რვა გუნდიდან ფინალში გასვლა „ავაზამ" და „მერანმა" შეძლეს, ტურნირის ჩემპიონის წოდება კი, შარშანდელივით, კვლავ „ავაზამ" მოიპოვა.

საუკეთესოთა პრიზები გადაეცათ: მეკარე ლაშა ლორიას (ავაზა), მცველ შალვა ზარიძეს (აისი), ნახევარმცველ გიორგი თელიას (ავაზა), თავდამსხმელ ირაკლი გაბელაიას (მამული) და ბომბარდირ ირაკლი ჯოხაძეს (ავაზა). საუკეთესო ფეხბურთელად მერანელი ბექა ქლენტი დაასახელეს.

# პაველ სადირინი: ზენიტი ჩემპიონი თბილისში გახდა

ჩვენი ახალგაზრდული ნაკრებისა და ცესკას ბათუმური მატჩის წინ სტუმართა მთავარ მწვრთნელთან გასაუბრება რომ გადავწყვიტე, თან ეჭვი მღრღნიდა — ვაი თუ სადირინი არ დამთანხმდეს-მეთქი. პაველ სადირინს ისეთი იერი აქვს და ისე სერიოზულად უჭირავს თავი, ამას აუცილებლად იფიქრებდი. მაგრამ თხოვნა არც კი დამემთავრებინა, რომ მწვრთნელმა ისეთი სასიამოვნო ტონით მითხრა, რაზეა ლაპარაკიო, გაკვირვებული დავრჩი. პირველი კითხვაც ბუნებრივად დამებადა:



**— თქვენზე ამბობენ, მძიმე ხასიათი აქვსო.**

— არა, რატომ? ზოგს შეიძლება ასე ჰგონია, მაგრამ ვისაც ჩემთან ურთიერთობა აქვს, ის ამას არ იტყვის. თუნდაც იმიტომ, რომ უამრავი მეგობარი მყავს. მართალია, ბევრს არ ვუყვარვარ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მძიმე ხასიათი მქონდეს. უბრალოდ, პირში მთქმელი ვარ და ზოგს ეს არ სიამოვნებს. ხომ იცით, როცა კაცი დამნაშავეა და თავის გამართლების საშუალებას არ მისცემ — ყველას სწყინს. მე კი სწორედ ასეთი კაცი ვარ. როცა მართალი ვარ, თავს არავის დავუხრი. თუ ამგვარი პრინციპი ვინმესთვის მიუღებელია, ჩათვალოს, რომ მძიმე ხასიათი მაქვს.

**— 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე რატომ არ გამოგყვნენ დობროვოლსკი, შალიმოვი და სხვა ფეხბურთელები? თქვენ ხომ რუსეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი იყავით.**

— ეს ფეხბურთელები ამერიკაში იმიტომ არ წამოვიდნენ, რომ სულელები არიან. ისე, მაინცდამაინც გული არ დამწყვეტია მათი არყოფნის გამო. დობროვოლსკის და შალიმოვს რომც ეთხოვათ, მაინც არ ვათამაშებდი, კირიაკოვი, კანჩელსკისი და კოლივანოვი კი მართლაც მჭირდებოდნენ და ამას არც ვმალავ. მაგრამ ამათაც იმ ორს აუბეს მხარი — ეგენი თუ არ წამოვლენ, არც ჩვენ ვითამაშებთო. მეც პირდაპირ ვუთხარი — თქვენ თუ უმაგათოდ თამაში არ გინდათ, არც თქვენ ითამაშებთ-მეთქი. ყველანი უპასუხისმგებლოდ იქცეოდნენ, ზერელედ ვარჯიშობდნენ, ხანდახან შეკრებებზეც კი არ ჩამოდიოდნენ და რაში მჭირდებოდა ასეთი ხალხი? თანაც ფულის გულისთვის ყველაფერს კადრულობდნენ. ყველას საკუთარი თავი ადარდებდა, ნაკრები კი საერთოდ არ აინტერესებდათ. წარმოიდგინეთ, სავარჯიშო ფორმაზეც კი აყალმაყალს ტეხდნენ: ერთი აცხადებდა, მე ამ ფირმასთან მაქვს კონტრაქტი გაფორმებული და ამითი ვივარჯიშებო, მეორეც იგივეს ამბობდა, მესამე საერთოდ რაღაც უცნაურს მოიგონებდა და ასე გრძელდებოდა დაუსრულებლად. ისინი ჩემით იყვნენ უკმაყოფილო. ეგონათ, სადირინს რომ მოხსნიან, სხვა მწვრთნელი, იგივე რომანცევი მოვა და ის მოაგვარებს ყველა პრობლემას და პრემიალურებსაც გაგვიზრდისო. ის კი არ იცოდნენ, რომ მწვრთნელი პრემიების საკითხს არ წყვეტს.

საერთოდ, იმ დროს რუსულ ფეხბურთში დიდი ამბები ხდებოდა. რამდენიმე კაცისგან შემდგარ ჯგუფს ყველაფრის თავდაყირა დაყენება სურდა. ამათი მამამთავარი სპორტის კომისიის თავმჯდომარე შამილ ტარპიშევი იყო. შორს გამიზნული გეგმები ჰქონდათ. კოლოსკოვის თანამდებობიდან გადაყენება უნდოდათ. ერთი სიტყვით, მე არავინ არაფერს მეკითხებოდა.

**— არც „ზენიტში“ გეკითხებოდათ ბევრი? რას უკავშირდებოდა თქვენი განთავისუფლება?**

— კონტრაქტი დამიმთავრდა და წამოვედი.

**— კონტრაქტიო, ამბობთ. ნუთუ არ შეიძლებოდა მისი გაგრძელება მწვრთნელთან, რომელმაც გუნდი რუსეთის უმაღლეს ლიგაში გადაიყვანა და ათეულშიც მოახვედრა?**

— ეგ უკვე კლუბის ხელმძღვანელებს ჰკითხეთ. ეტყობა, შედეგმა და გუნდის მომზადების დონემ არ დააკმაყოფილა ისინი. ისე, „ზენიტიდან“ ჩემი წამოსვლის მიზეზებზე ორი სიტყვით ვერ ვილაპარაკებ. საამისოდ არც დრო მაქვს, არც სურვილი. მთავარს კი გეტყვით: როგორც „ზენიტის“ ხელმძღვანელები თვლიან, მე მეტის-მეტი მოვინდომე, ზედმეტად ჩავყავი ცხვირი კლუბის ფინანსურ საქმეებში. კაცმა რომ თქვას, ეს აზრი სიმართლეს ჰგავს, მაგრამ მე უფრო სხვა რამ მაღელვებდა. ფინანსებში იმიტომ ჩავერიე, რომ მინდოდა გამერკვია, რა ხდებოდა. ახლა ამბობენ, სადირინს ზედმეტი ფული უნდოდაო. არაფერი მსგავსი. ფულს არასოდეს დავხარბებივარ და არც მომავალში დავხარბდები. უბრალოდ, აკი გითხარით, ფინანსურმა საქმეებმა, როგორც „ზენიტის“ უფროსობა ამტკიცებს, ზედმეტად გამიტაცა, მათ კი ასეთი მწვრთნელი, ეტყობა, არ სურდათ, თორემ კონტრაქტის გაგრძელებაზე ადვილი რა არის.

**— თქვენს ნაცვლად „ზენიტის“ მწვრთნელად ბიშოვეცი დაინიშნა...**

— მაპატიეთ, მაგრამ ამ თემაზე ნუ ვილაპარაკებთ. ბიშოვეცთან არც აქამდე მქონია საერთო და არც ახლა მაკავშირებს რამე. ის „ზენიტშია“, მე ცესკაში.

**— არც ტარხანოვზე იტყვით? რაც უნდა იყოს, სეზონის წინ თქვენი გუნდი ორად გაიყო. ერთის მწვრთნელი თქვენ იყავით, მეორისა — ტარხანოვი.**

— ყველაფერი ამბიციურობის ბრალია. საქმე ისაა, რომ შექმნილი იყო სააქციო საზოგადოება „კონკორდია გოლფი“. აქციების 40 პროცენტი სწორედ ამ ფირმას ეკუთვნოდა, დანარჩენი 60 არმიის სპორტულ კლუბს. ორივეს თავისი პრეზიდენტი ჰყავდა. ჰოდა, ფირმამ, რომლის დამქაშიც ტარხანოვი იყო, ცესკას დახურული დარბაზის, სტადიონის და სხვა ნაგებობებისა თუ ინვენტარის ხელში ჩაგდება მოინდომა. აქედან დაიწყო კიდეც კონფლიქტი და კლუბიც ორად გაიყო. არმიის კლუბის ხელმძღვანელობა, ბუნებრივია, მართალი იყო და ეს საქმეც მათ სასარგებლოდ დამთავრდა. იმათ კი ზედმეტი მოინდომეს, თანაც უსამართლოდ და ვერაფერს მიაღწიეს.

**— ამჟამად მთავარი მწვრთნელი თქვენ ხართ.**

— ახლა სანერვიულო აღარაფერია. ის 40 პროცენტი გამოსყიდულია და სხვა ორგანიზაციის ხელშია. ფინანსური საქმეებიც წესრიგში გვაქვს. ცესკას დიდი სამომავლო გეგმები დაუსახეს. გაისად აუცილებლად ჩემპიონები უნდა გავხდეთ. ჯერჯერობით კი გუნდი დაკომპლექტების პროცესშია. ობიექტურ მიზეზთა გამო სეზონისთვის მზადება ერთი თვით გვიან დავიწყეთ. მოვიწვიეთ რამდენიმე ფეხბურთელი და, ფაქტობრივად, ახალი გუნდი შევქმენით. ამათ კი შეთამაშება სჭირდებათ. ჩემპიონატის პირველ წრეს სწორედ ამისთვის გამოვიყენებთ, შემდეგ კი, ვნახოთ — თუ შევატყობთ, რომ საკმაოდ მოვმძლავრდით, პრეტენზიებიც გვექნება სამეულში მოსახვედრად, თუ არა, საგაზისოდ უფრო უკეთ მოვემზადებით.

**— „ალანიასთან“ და მოსკოვის „დინამოსთან“ შეხვედრებში კარგი გუნდის შთაბეჭდილება მართლაც ვერ დატოვეთ.**

— რა თქმა უნდა, ბევრი ხარვეზი გვაქვს. თითქმის ყველა რგოლი გასაძლიერებელია. ცუდი არ იქნებოდა, თითო თავდამსხმელისა და ნახევარმცველის შემატება. ისე, დაცვაშიც ბევრი პრობლემაა. მოკლედ, ათკაციანი სია უკვე შედგენილი მაქვს და უახლოეს მომავალში დავიწყებთ მათთან მოლაპარაკებას. მათი ვინაობის წინასწარ გამხელისაგან თავს შევიკავებ — ჩვენთან რომ ითამაშებენ, მერე გაიგებთ.

რაც შეეხება „ალანიასთან“ და „დინამოსთან“ მატჩებს, გეტყვით, რომ „დინამომ“ პირწმინდად მოგვიგო. ჩვენზე უკეთესი გუნდია და იმიტომ. „ალანია“ კი რაღაც თავდაჯერებული გამოვიდა ჩვენთან სათამაშოდ. მართალია, კარგი გუნდია, მაგრამ ქედმაღლობას ვისთვის მოუტანია სიკეთე. ასე იყო იმჯერადაც და დაისაჯნენ კიდეც. თანაც, ჩვენმა ბიჭებმა მოინდომეს, ნაწილობრივ ყველა ის შეცდომა გამოვასწორეთ, წინა ტურში „დინამოსთან“ რომ დავუშვით.

**— ქართველი ფეხბურთელების მოწვევას თუ აპირებთ?**

— ვნახოთ, არც ეგაა გამორიცხული. ისე, ალბათ იცით, გოგიჩაიშვილთან რომ ვაწარმოებდით მოლაპარაკებას, მაგრამ ტრავმის გამო მოსკოვში ჩამოსვლა ვერ მოახერხა და ეს გარიგებაც მომავლისთვის გადაიდო.

**— ესე იგი, კიდევ გაქვთ იმედი?**

— ამ კითხვაზე თენგიზ ვერძაძე უკეთ გიპასუხებთ.

**— ახლა ჩვენთვის ყველაზე საინტერესო: ცესკას მთავარი მწვრთნელის აზრი ნუგზარ ლობჟანიძეზე.**

— ამ ეტაპზე ლობჟანიძის თამაში სავსებით მაკმაყოფილებს. საქმეს ძალიან სერიოზულად ეკიდება. უკანა მცველის პოზიციაზე ვათამაშებ და სხვებისგან საგრძნობლად გამოირჩევა. მასთან ორწლიანი კონტრაქტი გავაფორმეთ და ახლავე დიდი სურვილი მაქვს, კიდევ გავაგრძელებინოთ ვადა. მოკლედ, ძალიან მომწონს.

**— ცოტა წარსულიც გავიხსენოთ. 1984 წელს „ზენიტი“ თქვენი ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა. თბილისში, „დინამოს“ 3:2 მოუგეთ და...**

— ...და სწორედ მაშინ დაიწყო ჩვენი საჩემპიონო აღმასვლა. რა დამავიწყებს იმ თამაშს. 0:2 ვაგებდით. მატჩი უკვე მთავრდებოდა და სიმართლე გითხრათ, მოგების იმედი არც მქონდა. არ ვიცი და დღესაც ვფიქრობ ხოლმე, როგორ გავიმარჯვეთ. ეტყობა, ღმერთმა გადმოგვხედა. მატჩის დამთავრებას რამდენიმე წუთი აკლდა, როცა დმიტრიევმა ჯერ ერთი, შემდეგ კი მეორე გოლი შეაგდო. ფრეზეც ყაბულს ვიყავი. ამ დროს ჩვენებს სტიმული მიეცათ, „დინამო“ კი, პირიქით — დაიბნა და ბოლო წუთზე მესამე გოლიც გაუშვა. ის თამაში „ზენიტის“ საუკეთესო მატჩი გახლდათ. ახლაც თვალწინ მიდგას ის საღამო. მახსოვს, როგორი ოვაცია მოგვიწყო ქართველმა გულშემატკივარმა, მთელი სტადიონი ტაშით გვაცილებდა, ასეთი რამ არსად მინახავს. მერწმუნეთ, საპირფეროდ არ გეუბნებით ამას. ქართველები რაღაც სხვანაირები ხართ, ყველა ერისგან გამორჩეულნი. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში მსგავსი არაფერი მინახავს.

**— არც რუსეთში?**

— რუსეთი ჩემი სამშობლოა, ალბათ სწორად გამიგებთ. საქართველო კი ზღაპრული ქვეყანაა. აი, ახლაც, როცა ბათუმში მოვდიოდით შეკრებაზე, ერთი სული მქონდა, როდის მომიწევდა ქართველებთან ურთიერთობა. მართალია, ახლა ისე აღარაა ბევრი რამ, როგორც ადრე, მაგრამ ჩემს სიყვარულს ვერაფერი გაანელებს. ვერც ომობანა შემიშლის ხელს და ვერც სხვა რამ. მოკლედ, მეტს აღარაფერს გეტყვით, თორემ, ვატყობ, ზედმეტი მომდის და ვშიშობ, ვიღაცამ არასწორად არ გამიგოს.

**— ძველი ზენიტელები ახლა რითი არიან დაკავებულნი?**

— ყველას ასავალ-დასავალი ზუსტად არც კი ვიცი: ბირიუკოვი ახლაც თამაშობს ნოდიას „ლოკომოტივში“, ჟელუდკოვი რომელიღაც ფინურ კლუბშია, დავიდოვი უცხოეთიდან დაბრუნდა და ისევ „ზენიტში“ საქმიანობს, ლარიონოვი ბიზნესმენია, კლემენტიევი — ტაქსის მძღოლი, დმიტრიევი კი ახლახან მიიწვიეს ტიუმენის „გაზოვიკში“ და იქ აგრძელებს კარიერას.

**— შეკრების ადგილად მაინცდამაინც ბათუმი რატომ არჩიეთ?**

— ხომ გითხარით, საქართველოში ჩამოსვლა ყოველთვის მიხაროდა და ახლაც, როცა ცესკას პრეზიდენტმა თენგიზ ვერძაძემ შეკრების ადგილად ბათუმი შემომთავაზა, უყოყმანოდ დავთანხმდი. ჩვენთან ახლაც ზამთარია, ხეირიანად მომზადება შეუძლებელია და ასეთ შანსს ხელიდან რატომ გავუშვებდით? თანაც ორი ამხანაგური მატჩის მოწყობასაც შეგვპირდნენ. ერთი თურქეთის „ტრაბზონსპორთან“ უნდა გვეთამაშა, მაგრამ მიზეზთა გამო ეს ვერ მოხერხდა, სამაგიეროდ, დღეს თქვენს ახალგაზრდულ ნაკრებს ვხვდებით, მანამდე კი „ბათუმის“ მეორე შემადგენლობას ვეთამაშეთ. აქაურების დიდი მადლობელი ვარ. ნორმალური მზადების ყველა პირობა შეგვიქმნეს და ვფიქრობ, ეს შეკრება დიდად წაგვადგება.

**კობა ინასარიძე**

# თენგიზ ვერძაძე: გოგიჩაიშვილი ცესკაში ითამაშებს

მოსკოველ არმიელთა მთავარ მწვრთნელს პაველ სადირინს გოგიჩაიშვილის გადაბირების სურვილი კი აქვს, მაგრამ — რამდენად შესაძლებელი იქნება ეს, მე ვერ გეტყვით, სჯობს, კლუბის პრეზიდენტს თენგიზ ვერძაძეს დაეკითხოთო — მირჩია. ცესკას წარმოშობით ბათუმელ თავკაცთან საუბარი კი უფრო ვრცელი გამოვიდა, ვიდრე ვვარაუდობდი.

**— სადირინმა მითხრა, გოგიჩაიშვილის შესახებ ვერძაძე უკეთ გეტყვითო...**

— სიამოვნებით. გოგიჩაიშვილი მეორე წრიდან ცესკაში ითამაშებს.

**— ეს უკვე გადაწყვეტილია?**

— ყოველ შემთხვევაში, საქმის 80 პროცენტი უკვე მოგვარებულია. ერთადერთი პრობლემა ფინანსებია. ამის თაობაზე კახისაც ვესაუბრეთ და „დინამოს“ პრეზიდენტსაც, თუმცა ჯერ კონკრეტულად არაფერზე შევთანხმებულვართ. დღეისათვის უცნობია, რა დაგვიჯდება გოგიჩაიშვილის ტრანსფერი. იმედი მაქვს, ეს უსაშველო თანხა არ იქნება.

**— სხვა ქართველი ფეხბურთელების გადაბირებასაც ხომ არ აპირებთ?**

— რატომაც არა. სადირინის უკვე შერჩეული ჰყავს რამდენიმე ფეხბურთელი. გვარების დასახელებისგან თავს შევიკავებ. ყველაფერს პირველი წრის დასრულებისას შეიტყობთ. ახლა კი მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ეს ფეხბურთელები ძირითადად „დინამოდან“ და „ბათუმიდან“ იქნებიან.

**— საამისო ფინანსები თუ გაქვთ?**

— ამ მხრივ პრობლემები ნაკლებად გვაწუხებს, რადგან კლუბის ხარჯების 70 პროცენტს თავდაცვის სამინისტრო ანაზღაურებს, დანარჩენ 30-ს კი საარმიო სპორტის ასოციაცია კისრულობს. სწორედ ეს 30 პროცენტი შეადგენს იმ თანხას, პროფესიონალი ფეხბურთელების გასასტიმულირებლად რომ გვჭირდება.

**— სეზონის წინ კლუბის ორად გაყოფის მიზეზი რა იყო?**

— გავლენის სფეროთა გაუნაწილებლობა. ცესკა დიდი მასშტაბის გუნდი იყო ყოველთვის და მუდამ ასეთი მკაცრი, არმიული წესით ცხოვრობდა — თუ გუნდი ზედიზედ სამ შეხვედრას წააგებდა და დასახულს ვერ შეასრულებდა, მთავარი მწვრთნელი უნდა შეცვლილიყო. ახლაც ასე მოხდა. არმიის ხელმძღვანელობამ ტარხანოვის მუშაობა არადამაკმაყოფილებლად შეაფასა და მისი გადაყენება მოითხოვა. თავის მხრივ ტარხანოვი ახლობლობდა იმ ხალხთან, ვინც კლუბის აქციების 40 პროცენტს ფლობდა. ჰოდა, მოგეხსენებათ, ადგილის [illegible] მით უმეტეს მაშინ, როცა ისეთ კლუბში საქმიანობ, როგორიც ცესკაა. საბოლოოდ, სამართლიანობამ გაიმარჯვა — აქციების საკონტროლო პაკეტი ხომ არმიას ეკუთვნოდა, ესენი კი რისი მქნელები იყვნენ.

**— თქვენ ამ სკანდალის მერე დაინიშნეთ პრეზიდენტად?**

— შეიძლება ასეც ითქვას. როცა ცესკა ორად გაიხლიჩა, არმიის უფროსობამ მთხოვა და პრეზიდენტად დავინიშნე.

**— მანამდეც კლუბში საქმიანობდით?**

— მოსკოვში 1985 წლიდან ვმოღვაწეობ. როსტოვის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ მოსკოვში გამანაწილეს — თავდაცვის სამინისტროში კაპიტალური მშენებლობების უფროსის მოადგილე ვიყავი. მას შემდეგ ცესკასთან ვარ დაკავშირებული. სპორტული საქმიანობით კი სამი წლის წინ დავინტერესდი. მანამდე უამრავი მეგობარი შევიძინე, რომლებიც სპორტთან, კერძოდ, ფეხბურთთან იყვნენ დაკავშირებულნი. სხვათა შორის, სადირინიც მაშინ გავიცანი. მოკლედ, სამინისტროს ხელმძღვანელთა მოთხოვნით 1994 წელს გუნდის პრეზიდენტად დავინიშნე, ერთი წლის შემდეგ კი არმიის სპორტკლუბის პრეზიდენტის პირველი მოადგილე ვიყავი. წარმოიდგინეთ, ამ კლუბში სპორტის 38 სახეობა იყო გაერთიანებული. იმ დროს დიდი ჯაფა დამადგა, მაგრამ ორი წელი გავუძელი და ამჟამად ცესკას საფეხბურთო გუნდის პრეზიდენტი ვარ.

**— ალბათ ბიზნესითაც ხართ დაკავებული.**

— ეს უკვე ჩემი პირადი საქმეა, რომლის აფიშირება არ მსურს. ამას, ალბათ, იმიტომ მეკითხებით, რომ გაინტერესებთ, რა სახსრებით ვინახავ გუნდს. გეტყვით, რომ მე ორგანიზაციული საკითხებით ვარ დაკავებული. ერთი სიტყვით, პრეზიდენტი კი ვარ, მაგრამ ფინანსურ საქმეებს მე არ განვაგებ. ზემოთაც გითხარით, რომ ხარჯების 70 პროცენტს სამინისტრო ანაზღაურებს, დანარჩენს კი საარმიო სპორტის ასოციაცია. რა თქმა უნდა, ნაწილობრივ მეც ვერევი გუნდის შენახვის საქმეებში, მაგრამ ცესკას მეპატრონედ ყოფნის არც სურვილი მაქვს და არც უფლებას მომცემს ვინმე.

**— ხელფასს და პრემიას რამდენს აძლევთ ფეხბურთელებს?**

— ეს კომერციული საიდუმლოა. ამ თემაზე საუბარი უტაქტობა იქნებოდა.

**— მაშინ ის გვითხარით, რის გაკეთებას აპირებთ ბათუმში? ამბობენ, ვერძაძეს სპორტული კომპლექსის აშენება აქვს ჩაფიქრებულიო.**

— ამას მართლაც ვფიქრობ. ოთხი თვის მანძილზე ბევრი რამ შევისწავლე და გადავწყვიტე, ნაწილობრივ მაინც დავეხმარო ჩემს მშობლიურ კუთხეს. ძირითადად სპორტის, კონკრეტულად, ფეხბურთის სფეროში ვიმოქმედებ, ახლო მომავალში კი ყველაფერს დაწვრილებით გეტყვით.

**— ასლან აბაშიძეს უკვე შეხვდით?**

— არა. სწორედ ახლა მივდივარ ჩემს მეგობართან ერთად აბაშიძესთან შესახვედრად. მასთან საუბრისას ბევრი რამ გაირკვევა.

**კობა ინასარიძე**

## მეორე ჯგუფი

### აღმოსავლეთი
### XXVII ტური

ჟინერი — ლოკომოტივი 0:4, დურუჯი — იბერია 0:2, შირაქი — მესხეთი 2:0, მორკინალი — 35 სტუ 4:0, არმაზი — ავაზა 7:4, ჭაბუკიანი — თორი 0:3, კოდაკო — აკადემია 0:0, დინამო 2 — თსუ 2 3:0, ცხინვალი — სამგორი 3:0 (სამგორი არ გამოცხადდა), მრეტები — ასკ 0:3 (მასპინძლებმა მინდორი ვერ იშოვეს)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 24 | 20 | 4 | 0 | 60:6 | 64 |
| მორკინალი | 25 | 20 | 4 | 1 | 61:8 | 64 |
| ასკ | 24 | 17 | 1 | 6 | 49:28 | 52 |
| დინამო 2 | 25 | 15 | 5 | 4 | 78:20 | 50 |
| ცხინვალი | 23 | 16 | 0 | 7 | 44:24 | 48 |
| შსს აკადემია | 24 | 13 | 5 | 6 | 57:24 | 44 |
| კოდაკო | 24 | 13 | 4 | 7 | 34:29 | 43 |
| არმაზი | 24 | 13 | 2 | 9 | 59:42 | 41 |
| შირაქი | 24 | 11 | 8 | 5 | 34:27 | 41 |
| იბერია | 24 | 12 | 1 | 11 | 35:31 | 37 |
| თორი | 24 | 10 | 3 | 11 | 23:41 | 33 |
| 35 სტუ | 24 | 7 | 8 | 9 | 39:38 | 29 |
| თსუ 2 | 23 | 8 | 1 | 14 | 25:47 | 25 |
| მრეტები | 24 | 5 | 7 | 12 | 28:41 | 22 |
| სამგორი | 24 | 6 | 3 | 15 | 28:54 | 16 |
| ჟინერი | 24 | 6 | 3 | 15 | 33:79 | 16 |
| მესხეთი | 24 | 4 | 2 | 18 | 24:62 | 14 |
| დურუჯი | 24 | 3 | 4 | 17 | 15:65 | 13 |
| ჭაბუკიანი | 24 | 2 | 6 | 15 | 17:40 | 12 |
| ავაზა | 24 | 2 | 3 | 19 | 20:55 | 9 |

### დასავლეთი
### XXI ტური

მერცხალი — ბათუმი 2 3:1, სქური — ოლიმპია 3:2, კოლხეთი 2 — სამეგრელო 3:0, ოდიში 2 — საპოვნელა 1:0, სულორი — ეგრისი 2:1, კახაბერი — მაღაროელი 0:5, მეშახტე — ტორპედო 2 (გადაიდო), მამისონი — სალხინო (სალხინომ ონში ჩასვლა დააგვიანა და მარტვილელთა საქმეს ფედერაცია გაარჩევს)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაღაროელი | 19 | 18 | 0 | 1 | 63:15 | 54 |
| მეშახტე | 18 | 15 | 1 | 2 | 39:15 | 46 |
| მერცხალი | 19 | 15 | 1 | 3 | 51:21 | 46 |
| იმერეთი | 19 | 10 | 2 | 7 | 39:28 | 32 |
| ოლიმპია | 20 | 10 | 1 | 9 | 33:36 | 31 |
| საპოვნელა | 20 | 8 | 6 | 6 | 37:31 | 30 |
| სალხინო | 19 | 9 | 2 | 8 | 31:28 | 29 |
| კოლხეთი 2 | 20 | 11 | 2 | 7 | 36:15 | 30 |
| სამეგრელო | 20 | 7 | 5 | 8 | 36:38 | 26 |
| სქური | 20 | 7 | 4 | 9 | 28:30 | 25 |
| სულორი | 20 | 7 | 4 | 9 | 23:30 | 25 |
| ტორპედო 2 | 19 | 5 | 3 | 11 | 19:43 | 18 |
| მამისონი | 17 | 4 | 3 | 10 | 27:43 | 15 |
| ეგრისი | 19 | 5 | 5 | 9 | 22:30 | 15 |
| ბათუმი 2 | 19 | 4 | 3 | 12 | 19:35 | 15 |
| კახაბერი | 20 | 3 | 3 | 14 | 21:64 | 12 |
| ოდიში 2 | 20 | 2 | 3 | 15 | 10:32 | 9 |

## ფეხბურთის რუკასთან



**იუგოსლაველი** მილან ლოვრი პირველი არასაბჭოელი ევროპელი შექნა, ვინაც რუსეთის მეორე ლიგაში გოლი შეაგდო. ლიპეცკის „მეტალურგის" 31 წლის დებიუტანტმა დიმიტროვგრადელებთან შეხვედრაში იმარჯვა.

**გერმანიის** კლუბმა, ლევერკუზენის „ბაიერმა" ამ დღეებში პრესკონფერენცია გამართა, რომელსაც ქვეყნის თითქმის ყველა წამყვანი სპორტული გა-



კრისტოფ დაუმი

მოცემის წარმომადგენელი დაესწრო. ლევერკუზენელთა მწვრთნელმა კრისტოფ დაუმმა ჟურნალისტებს განუცხადა, მართალია, შარშან ბუნდესლიგიდან გავარდნას გადავურჩით, მაგრამ წელს სულ სხვა გუნდი ვართო. „სეზონის წინ უეფაზე გასვლას ვგეგმავდით, ახლა ლიგაში მოხვედრის შანსი მოგვეცა. ჩვენი მიზანი ჩემპიონობაა. ვფიქრობ, წლევანდელი გუნდი კლუბის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესოა. თითქმის ყველა კონკურენტი დავამარცხეთ. ბიჭები ყველაფერს გაიღებენ ჩემპიონობისთვის" — თქვა დაუმმა.

**გერმანიის** ნაკრების ორმა ვეტერანმა — იურგენ კლინსმანმა და იურგენ კოლერმა განაცხადეს, რომ საფეხბურთო კარიერას სავარაუდოდ 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ დაასრულებენ. კლინსმანი, ვისაც ნაკრებში ჩატარებულ 94 მატჩში 41 გოლი გაუტანია, სეზონის ბოლოს მიუნხენის „ბაიერნის" დატოვებას და სათამაშოდ უცხოეთში გამგზავრებას აპირებს. მისი სეხნია დორტმუნდის „ბორუსიას" ერთგული რჩება.

**მექსიკაში** გამართული მატჩი იამაიკის ნაკრებსა და მეხიკოს ერთ-ერთ გუნდს შორის მე-18 წუთზე შეწყდა. მოთამაშეებმა ჩხუბი ატეხეს, აღშფოთებული გულშემატკივრებიც მოედანზე შეცვივდნენ და იამაიკელებს შეესივნენ. ეს აყალმაყალი იმით დამთავრდა, რომ ორივე გუნდიდან რამდენიმე ფეხბურთელი დაიჭრა. რა თქმა უნდა, შეხვედრა აღარ გაგრძელდა.

**უელსის** ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბობი გოლდმა საჯაროდ მოიბოდიშა, იმ გაუგებრობის გამო, რომელიც ნაკრების შავკანიან ფეხბურთელთან — ნათან ბლეიქთან ურთიერთობისას შეემთხვა. ერთ-ერთ ვარჯიშზე, ორკარას თამაშის წინ, გოლდს ბლეიქისთვის უთქვამს, შავი მაისური არ ჩაიცვა, ისედაც შავი ხარო. ფეხბურთელმა ეს რასისტულ გამონათქვამად აღიქვა. გოლდმა კი რადიოში გამოსვლისას თქვა, რასისტი არასდროს ვყოფილვარო.

**პორტუგალიის** თასის მეოთხედფინალის ერთი მატჩი სამშაბათს გაიმართა. უეფას თასზე თბილისის „დინამოს" მძლეველმა პორტუს „ბოავიშტამ" სტუმრად 1:0 დაამარცხა „ემტორილ პრეია". ნახევარფინალის დანარჩენ სამ საგზურს გაითამაშებენ: „ბენფიკა" — „სარდინესეში", „ბრაგა" — „პორტუ" და „ბეირა მარი" ან „სპორტინგი" და „აკადემიკა დე კოიმბრა".

**კამერუნი** საპირველაპრილო ხუმრობამ შეძრა. ტყუილების დღეს გამოცხადდა, რომ 44 წლის როჟე მილა ამ ქვეყნის ნაკრებში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს ითამაშებდა. იგივე ითქვა მასზე ოდნავ უმცროს ტომას ნკონოზე. ეს ცნობა ელვის სისწრაფით მოედო მთელს კამერუნს, თუმცა საღამოს, ტელევიზიით გამოსვლისას ნაკრების წარმომადგენლებმა ყველაფერს ნათელი მოჰფინეს.

**შოტლანდიის** მეორე უძლიერესი კლუბის „სელტიკის" თავმჯდომარემ ფერგუს მაკკენმა განაცხადა, გუნდის მთავარი მწვრთნელი ტომი ბარნსი, ვის შესაძლო გადაყენებაზეც ბევრს ლაპარაკობენ, სეზონის ბოლომდე დარჩება კლუბშიო. ვარაუდობენ, რომ მომავალი სეზონიდან „სელტიკს" პრემიერლიგის „უიმბლდონის" თავკაცი ჯო კინერი უხელმძღვანელებს.

**პორტუგალიელმა** რიკარდო სა პინტუმ, ვინაც ნაკრების მწვრთნელი არტურ ჟორჟე ფიზიკურად შეურაცხყო, ამ დღეებში საჯაროდ მოიბოდიშა, მაგრამ ისე, რომ ჟორჟე საერთოდ არ უხსენებია. ფეხბურთელის კლუბმა, დედაქალაქის „სპორტინგმა" განაცხადა, რომ სა პინტუს მონანიება არ უშველის და მკაცრი სასჯელი არ ასცდება. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ ფეხბურთელი 30-დან 40 ათას დოლარამდე ჯარიმას გადაიხდის.

**ავსტრალიის** ნაკრების ინგლისელ მწვრთნელს ტერი ვენებლზს რამდენიმე დღით სამშობლოში დაბრუნება მოუწევს მისი კლუბის — პირველი დივიზიონის „პორტსმუთის" დირექტორის გადადგომის გამო. ვენებლზი „პორტსმუთის" თავმჯდომარეა და ალბიონზეც იმად მიემგზავრება, ვითარებაში რომ გაერკვეს. კლუბის 71 წლის დირექტორმა ჯიკ ჯენერმა ერთ-ერთ გაზეთს შესჩივლა, კლუბში ჩემი დარჩენა ყოვლად შეუძლებელი იყო და ამიტომაც გადავდგი ეს ნაბიჯიო, თუმცა წასვლის მიზეზზე საუბარს ჯენერმა თავი აარიდა.

**ინდოეთში** მიმდინარე ხუთი ერის საერთაშორისო ტურნირში, რომელსაც ნერუს „ოქროს თასი" ჰქვია, სამშაბათს კიდევ ერთი შეხვედრა გაიმართა. მასპინძელთა ნაკრებმა ფრედ 0:0 ითამაშა ჩინეთის გუნდთან.

**საუდის არაბეთის** ქალაქ ჯედაში გაიმართა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის აზიის ზონის ორი მატჩი. მასპინძლებმა 6:0 გაანადგურეს ტაივანის ნაკრები, მალაიზიამ კი მინიმალური ანგარიშით 1:0 სძლია ბანგლადეში.

**რუმინელი** გეორგ პოპესკუ ლამისაა ეროვნულ გმირად შერაცხონ. „ბარსელონას" კაპიტანმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ლიხტენშტაინელებს ოთხი გოლი შეუგდო, რამაც



გეორგ პოპესკუ

მთელი რუმინეთი აალაპარაკა. ეს მატჩი რამდენჯერმე გადაიცა ეროვნული ტელევიზიით, პოპესკუს ქება-დიდებას ხომ დასასრული არ უჩანს. თავად პოპესკუმ განაცხადა, ჩემი ოთხი გოლიდან სამი პ აჯის დამსახურება იყოო. ერთიც რომ გაეტანა, პოპესკუ რუდი ვეცერის რეკორდს გაიმეორებდა. 1930 წელს ბუქარესტში რუმინეთმა 8:1 გაანადგურა საბერძნეთი, რაშიც ხუთი გოლის გამტანმა ვეცერმა ლომის წილი დაიდო. 30 წლის პოპესკუმ ლიტველებთან მატჩის წინ თქვა, მთავარი ჩვენთვის მოგებაა, მნიშვნელობა არ აქვს, რა ანგარიშით მოვიგებთ, ის კი უეჭველია, რომ სამი ქულა უნდა წავიღოთ შინო.

**ჩინეთი** [illegible] კონგრესს ჩაიბარებს. ფიფამ ამ მოვლენის [illegible] გადაწყვიტა და 3 ივლისს დანიშნა შეხვედრა, რომელშიც მსოფლიოს ვარსკვლავები მიიღებენ მონაწილეობას. უკვე ცნობილია, რომ მსოფლიოს ნაკრებში ითამაშებენ ალან შირერი, ჟორჟ ვეა და რონალდო. მალე კიდევ 13 ფეხბურთელს დაასახელებენ. მსოფლიოს ნაკრებს აზიის გუნდი დაუპირისპირდება, ორ ჩინელ მოთამაშეს სამხრეთ კორეელი, ტაილანდელი, იაპონელი და კონტინენტის სხვა ერის შვილები შეუერთდებიან.

**აზიის** კონტინენტზე მალე საუკეთესო ფეხბურთელს, მწვრთნელს და გუნდს გამოავლენენ. საუკეთესო მოთამაშედ ალბათ აზიის პირველობის ბომბარდირს ალი დაეის აღიარებენ, რომელმაც შარშან მსოფლიოს უპირველესი ბომბარდირის წოდება მოიხვეჭა ნაკრებში შეგდებული 23 გოლით. საუკეთესო ნაკრების წოდებას ალბათ არავის დაუთმობს ატლანტის ოლიმპიადაზე ბრაზილიელი თანატოლების 1:0 მძლეველი იაპონიის ოლიმპიური გუნდი. მწვრთნელთა შორის კი ფავორიტად ჩინეთის ქალ ფეხბურთელთა გუნდის თავკაცი მა იანენია მიჩნეული.

**ინგლისში** შესაძლოა 1989 წლის 15 აპრილს მომხდარი „ჰილსბოროს" ტრაგედიის ხელახალი გამოძიება დაიწყოს. რვა წლის წინ ქვეყნის თასის ნახევარფინალურ მატჩში „ლივერპულსა" და „ნოტინგემს" შორის უბილეთო მაყურებელთა მოზღვავებას მსხვერპლი მოჰყვა. ამ დღეებში შეფილდის ტელევიზიის არქივში აღმოაჩინეს ვიდეოკასეტა, რომელზეც აღბეჭდილია ტრაგედიისწინა პერიოდი. ფირი ნათლად ამჟღავნებს პოლიციის უმოქმედობას, ამაში წესრიგის დამცველებს „ჰილსბოროს" ტრაგედიის დროს დაღუპულთა ოჯახების მიერ ჩამოყალიბებულმა ფონდმაც დასდო ბრალი. მალე ვიდეოფირს სათანადო ორგანოები განიხილავენ და პოლიციის მიმართ სარჩელის აღძვრის შესაძლებლობაზეც იმსჯელებენ.


# ბავშვთა კვება



# Gerber

## ახალი სიცოცხლის უმშვენიერესი დასაწყისი

### ამერიკული და მსოფლიო ბაზრის აღიარებული ლიდერის გერბერის პატარა ქილებში თქვენი შვილების გოლიათური ჯანმრთელობაა

**Gerber** კომპანია გერბერის პროდუქციაში არ გამოიყენება არანაირი ქიმიური კონსერვანტი

**Gerber** 1928 წლიდან მოყოლებული კომპანია გერბერმა დაამზადა 60 მილიარდამდე საკვები პროდუქტის შესაფუთი და არ ყოფილა პროდუქტის მიკრობიოლოგიური დაბინძურების არცერთი შემთხვევა. შესაბამისად — პროდუქტის თერმოგადამუშავებასთან დაკავშირებული მოწამვლის არცერთი ფაქტი.

**Gerber** ამერიკის ზრდასრული მოსახლეობის ნახევარზე მეტი თავის დროზე „გერბერის ჩვილი" იყო.

ფირმა გერბერი 1928 წლიდან უზრუნველყოფს ამერიკის შეერთებული შტატების ბავშვთა უმრავლესობისა და მილიონობით პატარის კვებას მთელ მსოფლიოში.

☎ 39-47-83


## ჯერ - უოტსონი, მერე - რობსონი

ჯო როილის „ევერტონიდან" წასვლამ ლივერპულელთა ამ კლუბის ხელმძღვანელებს დიდი თავსატეხი გაუჩინა, პრესას კი საქმე მიეცა: გუნდის ახალი თავკაცის დანიშვნამდე ჟურნალისტები ყველა შესაძლო ვარიანტს განიხილავდნენ. უპირველეს კანდიდატად „სანდერლენდის" მწვრთნელს, „ევერტონის" ყოფილ მოთამაშეს პიტერ რიდს ასახელებდნენ. თავად მან კი განაცხადა, რა დროს ჩემი აქეთ-იქით სირბილია, ნეტავი „სანდერლენდი" დამატოვებინა პრემიერლიგაშიო. რაგინდ უცნაურად მოგეჩვენოთ, ჟურნალისტებმა „ევერტონის" მწვრთნელობის კანდიდატად ჯერ კიდევ აქტიურად მოთამაშე გერმანელი იურგენ კლინსმანიც დაასახელეს. თავად კლინსმანს ამის თაობაზე არაფერი უთქვამს. „ევერტონმა" ბობი რობსონისკენაც გაიხედა. ამას, ყველამ იცის, „ბარსელონაში", ასე თუ ისე, წყალი შეუდგა. ჰოდა, „ევერტონმაც" თადარიგი დაიჭირა და საქმის გაჩარხვას მიჰყო ხელი. რა გამოვა ამ საქმიდან, ამასაც ვნახავთ. ლაპარაკობენ მეორე დივიზიონელ „სტოკპორტის" მწვრთნელ დეივ ჯოუნზზეც. ამან წლევანდელ ლიგის თასზე თავისი კლუბი ნახევარფინალში გაიყვანა. ახსენებდნენ გუნდის ვეტერან მეკარეს ნევილ საუთჰოლსაც, რომელსაც კლუბში 700-ზე მეტი მატჩი უთამაშია. თავად 38 წლის უელსელმა თქვა: „ჩემთვის თანამდებობა არავის შემოუთავაზებია. ასე რომ მომხდარიყო, ცხადია, დავთანხმდებოდი, მაგრამ... მოკლედ, კლუბის მწვრთნელობაზე თანახმა ვარ, მაგრამ საქმე ისაა, რომ არავინ არაფერს მთავაზობს".

ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, „ევერტონის" ხელმძღვანელებმა მწვრთნელის პოსტი სეზონის ბოლომდე ჩააბარეს კლუბის მოთამაშეს დეივ უოტსონს, რობსონის ვარიანტი კი სამომავლოდ შემოინახეს. „ევერტონის" ვეტერანი უოტსონი კლუბში 1986 წელს ჩაირიცხა. მას შემდეგ გუნდმა ინგლისის ჩემპიონობაც მოიპოვა და თასიც მოიგო, თავად უოტსონმა კი 12-ჯერ მოირგო ინგლისის ნაკრების მაისური. მწვრთნელად დანიშვნის პირველსავე დღეს უოტსონმა განაცხადა, ჩვენი მთავარი მიზანი ამჟამად ლიგაში დარჩენააო.

## აფრიკული დილემა: კლუბში თუ ნაკრებში?

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევმა ეტაპმა დიდი საფიქრალი გაუჩინა შავი კონტინენტის მობურთალეებს. ევროპის კლუბებში 250-ზე მეტი აფრიკელია, აქედან თითქმის ნახევარზე მეტი მშობლიური ქვეყნის ნაკრებთა ძირითადში თამაშობს, ხშირად კი ისე ხდება, რომ კლუბისა და ნაკრების შეხვედრათა დღეები ერთმანეთს ემთხვევა. ჰოდა, გაჩნდა კიდეც დილემა: კლუბში თუ ნაკრებში? გამოსავალს ყველა თავისებურად ეძებს. სამხრეთ აფრიკის ნაკრების წევრმა სიზვი მოტაუნგმა ნაკრებში თამაში აუცილებლად მიიჩნია, თუმცა ისიც დასძინა, როცა ჩემი „ტენერიფე" უეფას თასის ნახევარფინალში „შალკე-04"-ს შეხვდება, აუცილებლად კლუბში ვიქნებიო. კლუბიც ენდო მოტაუნგს და ნაკრებში სათამაშოდ გაუშვა. ბუნდესლიგის „დუისბურგში" მოთამაშე ტოგოელმა ფორვარდმა ბაჩირუ სალუმაც ნაკრებში თამაში არჩია: „წელს ევროტურნირში თამაში არ გვიწერია, ნაკრებში კი იქნებ საფრანგეთის საგზურსაც გამოვკრა ხელი." სალუს ბუნდესლიგის კიდევ ერთმა აფრიკელმა ლეგიონერმა, ეგვიპტელმა იასირ რადვანმაც მიბაძა, ოღონდ ნაკრების მწვრთნელის თხოვნაზე, თამაშამდე 14 დღით ადრე ჩამოდიო, უარი განაცხადა: „ფიფა ნებას მრთავს, თამაშამდე 7 დღით ადრე წავიდე სახლში და ამ უფლებას გამოვიყენებ."

# შენცა, კურტ?



ევროპულ ფეხბურთში კიდევ ერთი სკანდალი აგორდა. ახლახან უეფამ ოფიციალურად დაადანაშაულა აწ უკვე პენსიონერი შვეიცარიელი არბიტრი კურტ როტლისბერგერი, რომელსაც ბრალად თამაშების გაყიდვა ედება. როტლისბერგერმა, რა თქმა უნდა, უმალ შეიცხადა ეს ამბავი, კატეგორიულად უარყო ყოველივე და იქით დაიმუქრა, თუ უეფა ჩემს წინააღმდეგ გამოძიებას არ შეწყვეტს, ტელევიზიით გამოვალ და მისი ბონზების შავბნელ საქმიანობას მთელს დუნიას ვამცნობ — 12 წელია ვმსაჯობ და ამათი ნამაძაღლარი ბევრიც მინახავს და ბევრიც მსმენიაო.

როტლისბერგერი მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო მსაჯად იყო ცნობილი. სხვა თუ არაფერი, 600-ზე მეტი საერთაშორისო მატჩი უმსაჯია, მათ შორის მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების შესარჩევი თუ ფინალური ტურნირებისა. 1993 წლის ჩემპიონთა თასის ფინალიც მან განსაჯა. მისი კარიერის საყოველთაოდ ცნობილ ლაქად 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალი მიიჩნეოდა — მაშინ, ბელგია — გერმანიის შეხვედრისას როტლისბერგერმა ბელგიელებს აშკარა პენალტი არ დაარტყმევინა, რაც ჩემპიონატის დატოვებად დაუჯდა. ფიფა მაშინაც შემოსწყრა როტლისბერგერს და მსოფლიოს უმაღლესი კატეგორიის არბიტრთაგან მოკვეთა, როცა იმავე 1994 წელს კურტმა პოლიტიკოსობა განიზრახა და ამომრჩეველთა ხმების მოსაპოვებლად მსაჯის ფორმაში გამოწყობილი დადიოდა. მოკლედ, სამსაჯო კარიერის ბოლო ორ წელიწადს (მანამდე რა იყო, ვინ იცის) როტლისბერგერმა ბევრი შესცოდა და შარშან, ევროპის ჩემპიონატის შემდეგ მსაჯობას შეეშვა. იფიქრა, წყნარ ცხოვრებას ვეღირსებო, მაგრამ წელიც არ გასრულებულიყო, რომ უეფამ კარზე მიუკაკუნა, ეს რამდენი შეგიცოდავსო. 46 წლის მსაჯყოფილმაც, ამჟამად სკოლის მასწავლებელმა, უეფას აქეთ შეუღრინა, თავი დამანებეთ, თორემ შავ დღეში ჩაგყრითო. იმ საქმის არსი, რომელსაც უეფა იკვლევს, ასეთია: როტლისბერგერი 1996 წლის 30 ოქტომბერს „გრასჰოპერ“ — „ოსერის“ მატჩზე დანიშნული ბელარუსი არბიტრის ვადიმ ჟუკის მოქრთამვის მცდელობაშია ეჭვმიტანილი. უეფას ცნობით, მატჩამდე 12 დღით ადრე, როცა ჩემპიონთა ლიგის მატჩებზე დანიშნულ არბიტრთა ვინაობა გამოქვეყნდა, როტლისბერგერი დაუკავშირდა „გრასჰოპერის“ პრეზიდენტს რომანო სპადეროს და კლუბის გენერალურ დირექტორს ერიხ ფოგელს, რათა მათთან ერთად ჟუკის მოქრთამვის გეგმა დაესახა. როტლისბერგერმა ამ ორს აცნობა, სულ რაღაც 100 ათას შვეიცარიულ ფრანკს თუ ჩამოხვალთ, სამი ქულა ჯიბეში გიდევთო. სპადერო და ფოგელი პატიოსანი ადამიანები აღმოჩნდნენ და საუბრის შინაარსი უეფას აცნობეს. ამათაც მეტი რა უნდოდათ — საქმე გამოიძიეს და როტლისბერგერი დაადანაშაულეს, ჟუკს კი საქმის საბოლოო გამოძიებამდე ფიფას არბიტრის წოდება ჩამოართვეს.

შვეიცარიის ფეხბურთის ფედერაციის თავკაცობამ და ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა როლფ ფრინგერმა როტლისბერგერის საქმის თაობაზე განაცხადეს, ამ ამბავმა პირდაპირ გაგვაოგნა, ამას როგორ ვიფიქრებდითო. ფედერაციის მუშაკთა თქმით, სანამ როტლისბერგერს დავსჯიდეთ, დაფიქრება და საქმის საფუძვლიანი გამოძიება გვმართებს. თუ როტლისბერგერი დამნაშავეა, მაშინ მან მთელი შვეიცარიული ფეხბურთი შეარცხვინაო.

თითქოს ეს არ კმაროდაო, ქვეყნის ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა და პოპულარულმა გაზეთმა „ბლიკმა“ საზოგადოებას ამცნო, როტლისბერგერს ბევრი სხვა ცოდვაც ადევს და ამის თაობაზე წერილებსაც წაგაკითხებთო. მართლაც, გაზეთმა მალე წერილად მოუთხრო მკითხველებს ქვეყნის ნომერი პირველი არბიტრის პირშაობაზე. გაზეთს თუ ვენდობით, როტლისბერგერმა შვეიცარია — თურქეთის, შვეიცარია — ნორვეგიის და კიდევ რამდენიმე საკლუბო მატჩის გამარჯვებულის წინასწარ დადგენაში დაიდო ლომის წილი.

მოკლედ, როტლისბერგერი მაგარ შარში გაეხვა. თვითონ კი ჯერაც ყინჩად არის, ყველაფერს უარყოფს, მაგრამ აშკარაა, ასე ადვილად თავს ვერ დაიხსნის. მისი თქმით, ფიფაში უეფაზე საჩივრის შეტანასაც აპირებს, მაგრამ მარლა იზამს თუ არა ამას, არავინ იცის...

**ლაშა ბოდშაძე**

## პორტუგალიელები მოკვეთეს

ფიფა ძალიან გაუნაწყენდა პორტუგალიელ არბიტრებს და გაურკვეველი ვადით საერთაშორისო სარბიელსაც ჩამოაშორა. ფიფას გულისწყრომის მიზეზი ის გახლავთ, რომ პორტუგალიელ მსაჯთა ასოციაციამ და ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ ერთმანეთს საქმე სასამართლოში გაურჩიეს, ფიფა კი ამ შემთხვევამ ერთობ გააგულისა და პორტუგალიელი არბიტრები მკაცრად დასაჯა. ფიფას წარმომადგენელმა ანდრეას ჰერენმა სამშაბათს განაცხადა, პორტუგალიელები სავსებით სამართლიანად დაისაჯნენ, სანამ შინაურ საქმეებს თავად არ მოაგვარებენ, მანამდე პორტუგალიური სამსაჯო სკოლა საერთაშორისო მატჩებს და ტურნირებს ვერ ეღირსებაო. ფიფამ უმალ აქცია სიტყვა საქმედ და ლიტვა — რუმინეთის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩზე დანიშნული პორტუგალიელი არბიტრი ჟორჟე მონტეირო კორადო, ვინაც 9 ნოემბრის საქართველო — ინგლისის შეხვედრა იმსაჯა, გერმანელი ედგარ შტაინბორნით შეცვალა.

## საფრანგეთი

### თასის მეოთხედფინალი

**ბორდო — მონპელიე 1:2, ლავალი — ტროი 1:0, კრეტიელი — გინგამი 1:3, კლერმონი — ნიცა 1:2**

„მონპელიემ“, რომლის ერთადერთი მიღწევა 1990 წელს მოპოვებული ქვეყნის თასია, სტუმრად სძლია უეფას თასის ფინალისტს და შური იძია თებერვალში ლიგის თასის ნახევარფინალურ შეხვედრაში დამარცხებისთვის. უეფას თასის ფინალურ მატჩში მონაწილე „ბორდოს“ დიდიე ტოლომ მე-15 წუთზე გახსნა ანგარიში. მისი დარტყმული ერთ-ერთ მცველს მოხვდა და კარში შევარდა, საფრანგეთის ნაკრების ექს-მეკარე ბრუნო მარტინი უძლური იყო. ტაიმის მიწურულს 1993 წლის ჩემპიონთა თასის მფლობელმა ფრენკ სოზემ 25 მეტრიდან საჯარიმო დარტყმით აღადგინა წონასწორობა — ბურთი ბოდარის კარის მარცხენა ცხრიანში შეფრინდა. მეორე ნახევარში უპირატესობა სტუმრებმა იგდეს ხელთ, რაც შედეგზეც აისახა. გადამწყვეტი გოლი ალჟირელმა კადერ ფარეუმ გაიტანა.

## რუსეთი

**მე-3 ტური. ალანია — ზენიტი 0:2, ტორპედო — სპარტაკი 0:3, როტორი — ცსკა 1:0, ლოკომოტივი — ტიუმენი 3:1, დინამო — კრილია სოვეტოვი 0:1, ნიჟნი ნოვგოროდი — როსტსელმაში 0:1, ჟემჩუჟინა — კამაზი 1:0, შინიკი — ჩერნომორეცი 1:0, ფაკელი — ბალტიკა 0:2.**

ტურის ცენტრალურ შეხვედრად მოსკოვური დერბი, „ტორპედო“ — „სპარტაკი“ იყო შერაცხული, თუმცა საგანგებო ყურადღება ვლადიკავკაზში მომხდარმა მიიპყრო. საჩემპიონო ამბიციებით აღსავსე „ალანიამ“ სანქტ-პეტერბურგის „ზენიტთან“ წააგო. ოსეთის გუნდს შეეძლო თამაში ფრედ დაესრულებინა, მაგრამ ორი პენალტი ვერ გაიტანა.

„ტორპედო“ კი „სპარტაკმა“ თვალსაჩინოდ დაჩაგრა. ჯარიმიდან ციმბალარის მიერ ჩინებულად დარტყმულ ბურთს პჩელნიკოვი შეწვდა, მაგრამ ხელის შეხება მოგერიებისთვის საკმარისი არ გამოდგა. ეს პირველ ტაიმში იყო. შესვენებამდე სპარტაკელებმა მეორეს შეგდებაც მოახერხეს. გოლი კეჩინოვმა გაიტანა, ხოლო შესვენების შემდეგ ანგარიში 3:0-მდეც გაზარდა. „ტორპედოს“ ვერც ბრაზილიელმა ლეონიდასმა გაუწია ხეირიანი დახმარება და ვერც კაფე-ბარებისთვის ჩვეულმა ნახევრად ჩაბნელებულმა გარემომ. საქმე ის გახლდათ, რომ მეორე ნახევარში მოსკოვის ამ სტადიონზე განათება გამოირთო, რის გამოც შეხვედრა ასე, ათი-თხუთმეტი წუთით შეწყდა, განახლების შემდგომ კი გვარიან ბინდში ჩაიარა. მოსკოვშივე „დინამომ“ სამარის „კრილია სოვეტოვთან“ 0:1 წააგო. ერთადერთი და გადამწყვეტი გოლი მამუკა მინაშვილმა გაიტანა.



ზაზა ჯანაშია

თავი გამოიჩინა კიდევ ერთმა ქართველმა, „ლოკომოტივის“ ზაზა ჯანაშიამაც. ისევ და ისევ რუსეთის დედაქალაქში, „ლოკომოტივის“ მიერ „ტიუმენის“ ძლევაში მან ერთი გოლითაც დაიდო წილი და სხვა ეპიზოდებშიც იაქტიურა, თუმცა რამდენიმე აშკარა საგოლე მომენტი გაუშვა ხელიდან.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 3 | 3 | 0 | 0 | 7:0 | 9 |
| კრილია | 3 | 3 | 0 | 0 | 3:0 | 9 |
| როტორი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:1 | 7 |
| ბალტიკა | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| ზენიტი | 3 | 2 | 1 | 0 | 3:0 | 7 |
| როსტსელმაში | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 7 |
| ლოკომოტივი | 3 | 1 | 2 | 0 | 6:4 | 5 |
| დინამო | 3 | 1 | 1 | 1 | 2:1 | 4 |
| ჟემჩუჟინა | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| ტორპედო | 3 | 1 | 1 | 1 | 4:5 | 4 |
| ალანია | 3 | 1 | 0 | 2 | 6:4 | 3 |
| ცსკა | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |
| შინიკი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:6 | 3 |
| ჩერნომორეცი | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | 2 |
| ტიუმენი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |
| ნ. ნოვგოროდი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:3 | 0 |
| ფაკელი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:4 | 0 |
| კამაზი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:11 | 0 |

კვირას პირველი ლიგის ახალი სეზონი დაიწყო. ამ ლიგაში ქართველი ლეგიონერები ცოტანი დარჩნენ. პირველ ტურში სულ ოთხი ჩვენებური მონაწილეობდა და არცერთი მათგანის გუნდს არ წაუგია. კიკლიაშვილ-სეფაშვილის „ნეფტეხიმიკმა“ და გიზო ჯელაძის „სოკოლ-პედ“-მა სტუმრად ქულა აიღეს, გივი ნოდიასა და ჩხაბერიძის „ლოკომოტივმა“ კი შინ 1:0 გაიმარჯვა. ახალ გუნდებში დებიუტი გოლით სეფაშვილმა და ჩხაბერიძემ აღნიშნეს.

## ინგლისი

**პირველი დივიზიონი. ბირმინგემი — ჩარლტონი 0:0, ბრედფორდი — სტოკი 1:0, გრიმსბი — იფსვიჩი 2:1, ჰადერსფილდი — შეფილდ იუნაიტედი 2:1, ნორვიჩი — ოქსფორდი 1:1, ოლდემი — სვინდონი 5:1, პორტ ვეილი — ტრანმერი 2:1, ქუინზ პარკი — ვულვერჰემპტონი 2:2, რედინგი — ბარნსლი 1:2, საუთენდი — პორტსმუთი 2:1**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოლტონი | 40 | 24 | 12 | 4 | 86:48 | 84 |
| ბარნსლი | 39 | 19 | 13 | 7 | 64:44 | 70 |
| ვულვზი | 40 | 19 | 9 | 12 | 57:43 | 66 |
| შეფილდი | 41 | 18 | 11 | 12 | 69:49 | 65 |
| პორტ ვეილი | 41 | 15 | 15 | 11 | 51:48 | 60 |
| კრისტალ პალ. | 38 | 16 | 11 | 11 | 68:39 | 59 |
| ნორვიჩი | 41 | 16 | 11 | 14 | 59:60 | 59 |
| პორტსმუთი | 40 | 17 | 8 | 15 | 51:45 | 59 |
| იფსვიჩი | 40 | 15 | 13 | 12 | 55:49 | 58 |
| ქუინზ პარკი | 41 | 15 | 12 | 14 | 54:54 | 57 |
| სტოკ სიტი | 40 | 16 | 9 | 15 | 46:50 | 57 |
| ტრანმერი | 40 | 15 | 11 | 14 | 54:50 | 56 |
| სვინდონი | 41 | 15 | 7 | 19 | 52:63 | 52 |
| ოქსფორდი | 41 | 14 | 9 | 18 | 57:59 | 51 |
| ჩარლტონი | 39 | 14 | 9 | 16 | 46:54 | 51 |
| ბირმინგემი | 39 | 14 | 12 | 14 | 43:45 | 51 |
| რედინგი | 40 | 13 | 11 | 16 | 49:57 | 50 |
| სიტი | 38 | 14 | 8 | 16 | 48:49 | 50 |
| ჰადერსფილდი | 40 | 12 | 12 | 16 | 44:47 | 48 |
| ვესტ ბრომვიჩი | 40 | 11 | 14 | 15 | 61:66 | 47 |
| ბრედფორდი | 40 | 10 | 11 | 19 | 42:64 | 41 |
| გრიმსბი | 39 | 9 | 12 | 18 | 52:71 | 39 |
| ოლდემი | 39 | 9 | 11 | 19 | 44:55 | 38 |
| საუთენდი | 41 | 8 | 13 | 20 | 39:75 | 37 |

## ესპანეთი

### 31-ე ტურის ბოლო მატჩი
### ატლეტიკო 2:1 სპორტინგი

**1:0 კამინერო (10), 2:0 კიკო (40), 2:1 კენო (65)**

## ახალგაზრდული ჭენჭელი

პოლონელი და იტალიელი ახალგაზრდების თამაშს კატოვიცეში 2 500 მაყურებელი დაესწრო. მატჩრა „სკუადრა ატურამ“, მართალია, ფრედ დაასრულა შეხვედრა, მაგრამ ინგლისელ თანატოლებს ქულებით გაუტოლდა, ბურთების უკეთესი სხვაობის გამო კი ცხრილის თავშიც მოექცა. ამ შეხვედრაში, სამი გაძევების გარდა, საინტერესოა, რომ მიროსლავ შიმკოვიაკის გოლი იტალიელებმა მათთვის ჩვეული პედანტურობით ინოჩენტის ავტოგოლად ჩათვალეს — იტალიაში ხომ საკმარისია, ბურთი მცველს ოდნავ შეეხოს და ბადეში შევარდეს, ხელად საკუთარი კარის დალაშქვრას აფიქსირებენ.

იმავე დღეს ინგლისელმა ოცდაერთწლამდელებმა სვინდონში შვეიცარიელ თანატოლებს ამხანაგურ შეხვედრაში უმასპინძლეს. მატჩი უგოლოდ, 0:0 დასრულდა.

### პოლონეთი 1:1 იტალია

**პოლონეთი: ვერხოვსკი, ბოხაცკი, შიმკოვიაკი, ზევლაკოვი, კოციბა, მალინოვსკი, კრიჟანოვსკი (გრჟიბოვსკი 58), საგანოვსკი, კალიციაკი, მიციელი (დუბიცკი 58), პალუკი (ვიშნიარეკი 80)**

**იტალია: ბუფონი, პიხტონე, სარტორი, ინოჩენტი, კოკო, გორეტი, ლოკატელი (ბაკინი 79), ბარინიო (ფოლიო 46), დე აშენტისი, ტოტი, ლუკარელი (ბელუჩი 63)**

**გოლი: გორეტი (75), ინოჩენტი (76 საკ. კარში)**

**გაფრთხილება: სარტორი, კალიციაკი, ინოჩენტი, დე აშენტისი, ვიშნიარეკი**

**გაძევება: მალინოვსკი (54), საგანოვსკი (54), დეაშენტისი (66)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 5 | 3 | 1 | 1 | 16:2 | 10 |
| ინგლისი | 4 | 3 | 1 | 0 | 4:0 | 10 |
| მოლდოვა | 4 | 1 | 0 | 3 | 3:12 | 3 |
| პოლონეთი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:4 | 2 |
| საქართველო | 2 | 0 | 0 | 2 | 0:7 | 0 |

## ძოლა ინგლისის საუკუნეს გვპირდება



მას მერე, რაც ძოლა ინგლისში გადაბარგდა, გამუდმებით იქაური ფეხბურთის ქება-დიდებაშია. მისი აზრით, ფეხბურთის საქმეები კუნძულზე ისე კარგად მიდის, რომ მალე ინგლისის ჩემპიონატი იტალიისას აჯობებს: „მართალია, სერია A ჯერჯერობით უკეთესია, მაგრამ ერთი განახათ, რა თამაშებია ინგლისში. ხალხი გიჟდება ფეხბურთზე. ფეხბურთზე პოპულარული სახეობა ინგლისში არ არსებობს. ამ საუკუნეში თუ არა, XXI-ში პრემიერლიგა სერია A-ზე ძლიერი იქნება. ფეხბურთი აქ ისე სწრაფად ვითარდება, რომ ამ პროგრესის შეჩერება წარმოუდგენელია. აბა, ვინ იფიქრებდა ხუთი წლის წინ, რომ იტალიელი სხვა ქვეყანაში წავიდოდა სათამაშოდ. ეს რომც მომხდარიყო, იტალიიდან აბარგებული ფეხბურთელი ძალზე დაბალი კლასის თუ იქნებოდა. ახლა კი ინგლისში მოთამაშე თითქმის ყველა იტალიელი ეროვნული გუნდის წევრია. ჩემი აზრით, ინგლისის სტადიონები საუკეთესოა მსოფლიოში. ასევე საუკეთესონი არიან აქაური გულშემატკივრები, რომელთაც შესანიშნავად ესმით ფეხბურთი. იტალიაში წაგებისას ისეთი შეგრძნება გეუფლება, თითქოს ყველაფერი დამთავრდა. გულშემატკივრები არ დაგინდობენ. აქ პირიქითაა — გამხნევებენ, გასამარჯვებლად შეგმართავენ, გაჭირვებისას მხარში ამოგიდგებიან. იტალიასა და ინგლისს ბევრი რამ განასხვავებს. იტალიაში შედეგის შენარჩუნებაზე ფიქრობენ, აქ კი, რა ანგარიშიც უნდა იყოს, ტემპის შეუნელებლად თამაშობენ. მიუხედავად იმისა, რომ პრემიერლიგა ჯერ კიდევ ჩამოუვარდება სერია A-ს, სულაც არ ვთვლი, რომ ჩემი ინგლისში გადასვლა უკან გადადგმული ნაბიჯია. პირიქით, აქ ისეთი თვისებები შევიძინე, რომლებზეც იტალიაში ვერც კი ვიოცნებებდი. მოკლედ, ინგლისური ფეხბურთით აღფრთოვანებული ვარ“.


**5 აპრილს**
**სპორტის სასახლეში**
**17 საათზე**
**როკ-ანსამბლები და ავტოლატარია** **ჯაზი და შოუ-ლატარია**
**დანს-როკი**



**ბილეთის ფასში შედის ავტოლატარია და სამი შოუ-ლატარია**
**მობრძანდით! ისიამოვნეთ! მოიგეთ!**

# სარბიელი


## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. XXVI ტური

4 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| დიუსელდორფი — ზანქტ პაული | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| მიუნხენ 1860 — მიონხენგლადბახი | 2,3 | 3,0 | 2,3 |

5 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| დორტმუნდი — ბოხუმი | 1,25 | 3,8 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| კარლსრუე — შალკე | 1,8 | 2,8 | 3,6 |
| ვერდერი — არმინია | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| ჰამბურგი — ბაიერნი | 3,0 | 3,0 | 1,9 |
| კიოლნი — დუისბურგი | 1,5 | 3,2 | 4,7 |
| ჰანზა — ლევერკუზენი | 3,3 | 3,0 | 1,8 |

6 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ფრაიბურგი — შტუტგარტი | 5,6 | 4,0 | 1,3 |

### გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. XXIV ტური

4 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| მაინცი — ლიუბეკი | 1,5 | 3,0 | 5,3 |
| კარლ ცაისი — მანჰაიმი | 1,6 | 3,1 | 4,2 |

5 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| კიკერსი — აინტრახტი | 2,3 | 2,6 | 2,6 |
| გიუტერსლოო — ფორტუნა | 1,7 | 3,0 | 3,8 |

6 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ურდინგენი — ცვიკაუ | 1,3 | 3,6 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| ვოლფსბურგი — ოლდენბურგი | 1,1 | 5,6 | 9,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,2 | 3,5 |
| ჰერტა — კაიზერსლაუტერნი | 2,3 | 2,6 | 2,6 |
| ლაიპციგი — როტ ვაისი | 1,3 | 3,8 | 6,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,2 |
| უნტერჰახინგი — მეპენი | 1,6 | 2,9 | 4,7 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XXXIII ტური

5 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ასტონ ვილა — ევერტონი | 1,5 | 3,0 | 5,3 |
| ჩელსი — არსენალი | 2,2 | 2,8 | 2,6 |
| ლიდსი — ბლეკბერნი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ლივერპული — ქოვენთრი | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| მანჩესტერ იუნაიტედი — დერბი ქაუნთი | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 2,7 |
| ნიუკასლი — სანდერლენდი | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| ნოტინგემი — საუთჰემპტონი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ტოტენჰემი — უიმბლდონი | 2,4 | 2,5 | 2,5 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXXXII ტური

5 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარნსლი — ბირმინგემი | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| ბოლტონი — ქუინზ პარკი | 1,5 | 3,1 | 5,0 |
| ჩარლტონი — მანჩესტერ სიტი | 2,4 | 2,5 | 2,5 |
| კრისტალ პალასი — ჰადერსფილდი | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| იფსვიჩი — ოლდემი | 1,35 | 3,8 | 5,3 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| ოქსფორდი — პორტ ველი | 2,4 | 2,5 | 2,5 |
| პორტსმუთი — გრიმსბი | 1,3 | 3,8 | 6,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| შეფილდ იუნაიტედი — ვესტ ბრომვიჩი | 1,45 | 3,4 | 4,7 |
| 0:1 | 2,2 | 3,2 | 1,9 |
| სტოკ სიტი — რედინგი | 1,4 | 3,3 | 5,6 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| სვინდონი — საუთენდი | 1,5 | 3,4 | 4,2 |
| ტრანმერი — ბრედფორდი | 1,4 | 3,6 | 5,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| ვულვერჰემპტონი — ნორვიჩი | 1,6 | 3,0 | 4,4 |

### ინგლისის ლიგის თასის ფინალი

6 აპრილი, უემბლიზე

| | | | |
|---|---|---|---|
| ლესტერი — მიდლსბრო | 2,8 | 3,0 | 2,0 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი. XXXII ტური

5 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნანტი — მარსელი | 1,3 | 3,4 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| მონაკო — ლილი | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,2 |
| ლე ავრი — მეცი | 2,3 | 2,6 | 2,6 |
| ლიონი — ოსერი | 2,2 | 2,6 | 2,8 |
| პარი სენ ჟერმენი — რენი | 1,25 | 3,8 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,2 |
| ლანსი — ბასტია | 2,1 | 2,8 | 2,8 |
| ნანსი — სტრასბური | 3,2 | 2,8 | 1,9 |
| კანი — ნიცა | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| გინგამი — კაენი | 1,5 | 3,1 | 5,0 |
| მონპელიე — ბორდო | 2,4 | 2,5 | 2,5 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A. XXVI ტური

5 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ფიორენტინა — ინტერი | 2,3 | 2,6 | 2,6 |

6 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვიჩენცა — ვერონა | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| ბოლონია — რეჯანა | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 2,7 |
| კალიარი — რომა | 2,4 | 2,5 | 2,5 |
| ლაციო — პიაჩენცა | 1,35 | 3,3 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| მილანი — იუვენტუსი | 2,1 | 2,8 | 2,8 |
| პარმა — სამპდორია | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| პერუჯა — ნაპოლი | 2,3 | 2,6 | 2,6 |
| უდინეზე — ატალანტა | 2,0 | 2,9 | 2,9 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XXVIII ტური

5 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარი — ლეჩე | 2,4 | 2,6 | 2,4 |

6 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| კრემონეზე — ბრეშია | 2,4 | 2,8 | 2,3 |
| დი სანგრო — ჩეზენა | 1,9 | 2,9 | 3,1 |
| ლუკეზე — ემპოლი | 2,4 | 2,8 | 2,3 |
| პალერმო — ფოჯა | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| ტორინო — პადოვა | 1,15 | 3,4 | 7,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,4 |
| კიევო — პესკარა | 2,4 | 2,5 | 2,5 |
| რავენა — რეჯინა | 1,3 | 3,4 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| კოზენცა — სალერნიტანა | 2,0 | 2,8 | 3,0 |
| ჯენოა — ვენეცია | 1,6 | 3,0 | 4,4 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXXII ტური

6 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარსელონა — სპორტინგი | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,0 |
| ვალიადოლიდი — ვალენსია | 2,0 | 2,8 | 3,0 |
| ბილბაო — სევილია | 1,6 | 3,2 | 4,0 |
| ესტრემადურა — ლოგრონიესი | 1,8 | 2,9 | 3,4 |
| რეალი — კომპოსტელა | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,2 | 3,5 |
| სელტა — ტენერიფე | 1,9 | 2,9 | 3,1 |
| დეპორტივო — სარაგოსა | 1,5 | 3,6 | 4,0 |
| ერკულესი — სოსიედადი | 2,8 | 3,0 | 2,0 |
| ბეტისი — რასინგი | 1,3 | 3,4 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| რაიო ვალეკანო — ესპანიოლი | 1,9 | 2,9 | 3,1 |
| ოვიედო — ატლეტიკო | 2,4 | 2,5 | 2,5 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. XXX ტური

6 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარსელონა B — ოსასუნა | 1,9 | 3,0 | 3,0 |
| სალამანკა — ესიხა | 1,1 | 5,6 | 9,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,2 | 4,0 |
| ვილიარეალი — ლას პალმასი | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| ატლეტიკო B — ორენსე | 1,8 | 2,8 | 3,6 |
| ბადახოსი — ალბასეტე | 2,3 | 2,6 | 2,6 |
| მალიორკა — მერიდა | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| ალავესი — ლეგანესი | 1,8 | 2,8 | 3,6 |
| ლევანტე — ალმერია | 1,8 | 3,0 | 3,3 |
| ეიბარი — ტოლედო | 1,3 | 3,6 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| ლერიდა — რეალი B | 1,5 | 3,2 | 4,7 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. XXV ტური

5 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბენფიკა — სპორტინგი | 2,9 | 2,9 | 2,0 |
| ბრაგა — ამადორა | 1,4 | 3,4 | 5,3 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| გიმარაეში — ბოავიშტა | 1,4 | 3,3 | 5,6 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| ჟილ ვისენტე — სალგეირუში | 2,9 | 2,9 | 2,0 |
| პორტუ — ესპინიუ | 1,15 | 5,0 | 8,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,2 | 3,5 |
| სეტუბალი — შავეში | 1,9 | 2,9 | 3,1 |
| ლეცა — ფარენსე | 1,9 | 2,8 | 3,2 |
| მარიტიმუ — რიუ ავე | 1,6 | 2,9 | 4,7 |
| ბელენენსეში — ლეირია | 1,5 | 3,3 | 4,4 |

### რუსეთის ჩემპიონატი. IV ტური

5 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ცსკა — ჟემჩუჟინა | 1,3 | 3,4 | 7,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,2 |
| ლოკომოტივი — ნოვგოროდი | 1,3 | 3,4 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| ბალტიკა — დინამო | 2,9 | 2,9 | 2,0 |
| კრილია — ალანია | 3,3 | 3,0 | 1,8 |
| ზენიტი — როტორი | 2,4 | 2,5 | 2,5 |
| როსტსელმაში — ფაკელი | 1,5 | 3,1 | 5,0 |
| ჩერნომორეცი — ტორპედო | 2,9 | 2,9 | 2,0 |
| კამაზი — შინიკი | 1,8 | 2,9 | 3,4 |
| გაზოვიკი — სპარტაკი | 5,0 | 3,1 | 1,5 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXVII ტური

5 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰერენვენი — ტილბურგი | 1,3 | 3,8 | 6,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| სიტარდი — გრონინგენი | 1,8 | 2,9 | 3,4 |
| გრააფსხაპი — ალკმარი | 1,5 | 3,3 | 4,4 |
| ფეიენოორდი — ვიტესი | 1,25 | 4,0 | 7,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,2 |

6 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვოლენდამი — აიაქსი | 4,0 | 3,2 | 1,6 |
| ვალვაიკი — ტვენტე | 5,0 | 4,0 | 1,35 |
| უტრეხტი — ნაიმეგენი | 1,5 | 3,1 | 5,0 |
| ბრედა — ეინდჰოვენი | 4,2 | 3,4 | 1,5 |

### ბელგიის ჩემპიონატი. XXVIII ტური

5 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| აალსტი — ეკერენი | 2,4 | 2,5 | 2,5 |
| ანდერლეხტი — სტანდარდი | 1,5 | 3,0 | 5,3 |
| ანტვერპენი — სენტ ტრიუდენი | 1,5 | 3,0 | 5,3 |
| სერკლ ბრიუგე — გენკი | 2,8 | 3,0 | 2,0 |
| გენტი — ლიერსი | 3,4 | 3,2 | 1,7 |
| ლოკერენი — ჰარელბეკი | 2,4 | 2,5 | 2,5 |
| ლომელი — ბრიუგე | 3,1 | 2,9 | 1,9 |
| მუსკრონი — მოლენბეკი | 1,35 | 3,6 | 5,6 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| მეხელენი — შარლერუა | 1,8 | 3,0 | 3,3 |

### შვეიცარიის ჩემპიონატი. ფინალური ეტაპის V ტური

5-6 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბაზელი — სენტ გალენი | 1,8 | 2,9 | 3,4 |
| ლოზანა — გრასჰოპერი | 2,6 | 2,6 | 2,3 |
| სიონი — ქსამაქსი | 2,1 | 2,7 | 2,9 |
| ციურიხი — არაუ | 2,9 | 2,9 | 2,0 |

### ავსტრიის ჩემპიონატი. XXV ტური

5 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ზალცბურგი — აუსტრია | 1,25 | 4,0 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,0 |
| გრაცერი — ტიროლი | 2,9 | 2,9 | 2,0 |
| ლინცერი — ლინცი | 1,8 | 4,0 | 2,6 |
| რაპიდი — შტურმი | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,0 |
| რიედი — ადმირა | 2,0 | 2,8 | 3,0 |

### თურქეთის ჩემპიონატი. XXVIII ტური

5 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბეშიქთაში — გაზიანთეპსფორი | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,0 |

6 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| გალათასარაი — ალთაი | 1,05 | 6,5 | 12,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,2 | 4,0 |
| ტრაბზონსფორი — ფენერბაჩე | 2,3 | 2,6 | 2,6 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.
ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში, პუშკინის ქუჩა 16.


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფრენბურთი კანკავას შემოსწყრა

დამთავრდა საქართველოს ჩემპიონატის I წრე ქალთა შორის. დაუმარცხებლად მხოლოდ სპორტის აკადემიის კლუბმა „კოლხმა" იასპარეზა და ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა. მეორეზე, 13 ქულით, აგრარული უნივერსიტეტის გუნდია, რომელსაც ერთადერთი მარცხი აკადემიელებმა აწვნიეს. მოგება აქ ორ, წაგება კი ერთ ქულად ფასობდა.

**26 მარტი:** კოლხი — აგრარული უნივერსიტეტი 2:0, დიდი ჯიხაიში — ჩულურეთი 0:2, სპორტსკოლა — ქუთაისი 2:0, ვეტერანები (დიდუბე) — რუსთავი 2:0

**27 მარტი:** აგრარული უნივერსიტეტი — რუსთავი 2:0, სპორტსკოლა — დიდი ჯიხაიში 2:0, კოლხი — ჩულურეთი 2:0, ვეტერანები — ქუთაისი 0:2

**28 მარტი:** ჩულურეთი — სპორტსკოლა 0:2, აგრარული უნივერსიტეტი — ვეტერანები 2:0

| | | | |
|---|---|---|---|
| კოლხი | 7 | 0 | 14 |
| აგრარული უნივერსიტ. | 6 | 1 | 13 |
| სპორტსკოლა | 5 | 2 | 12 |
| ქუთაისი | 4 | 3 | 11 |
| ჩულურეთი | 3 | 4 | 10 |
| დიდი ჯიხაიში | 2 | 5 | 9 |
| ვეტერანები | 1 | 6 | 8 |
| რუსთავი | 0 | 7 | 7 |

ჩვენს ფედერაციას ადგილებზე მუშაობის გამოცოცხლებასა და მასობრიობაზე აქვს გეზი აღებული — გვითხრა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ედუარდ სანთელაძემ — დასახული გეგმის შესრულების შემდეგ კი დიდ სპორტზეც შეიძლება ფიქრი. მთავარია, რომ საქართველოში ფრენბურთი ცოცხლობს, რასაც ეს ჩემპიონატიც ადასტურებს. აგერ, ვაჟთა ჩემპიონატში მონაწილეობის სურვილი ათმა გუნდმა გამოთქვა. პირველმა წრემ კარგად კი ჩაიარა, მაგრამ მინორული აკორდით დასრულდა — ჩემპიონატის მონაწილეებმა კრება ჩაატარეს და აი, ეს მიმართვა მივიღეთ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის კახი ასათიანის სახელზე:

**საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეს ბატონ კახი ასათიანს**

*ბატონო კახი!*

**ჩვენ, საქართველოს მე-VII ეროვნული ჩემპიონატის მონაწილეები ფრენბურთში ვჩივით ქ. თბილისის მერიის სპორტის სამმართველოს უფროსის გ. კანკავას უდიერ საქციელს.**

**დამკვიდრებული თუ დაუმკვიდრებელი მეთოდებით იგი და მისი ქვემდგომი, დ. აღმაშენებლის პროსპექტზე მდებარე ფრენბურთის მოედნების ყოფილი კომენდანტი გ. ცქიტიშვილი ცდილობენ წაართვან ფრენბურთის ფედერაციას მისი კუთვნილი ერთადერთი სპორტული ბაზა.**

**სამწუხაროდ, ყოველივე ეს ფრენბურთის საკეთილდღეოდ კი არ კეთდება, არამედ ანგარების მიზნით, კერძოდ, ტერიტორიაზე არსებული კომერციული ფირმების აქ დასამკვიდრებლად და გასაფართოებლად.**

**ვჩივით რა მათ ქმედებას ჩემპიონატის მონაწილეები ვაცხადებთ გ. კანკავას ფრენბურთისათვის პერსონანონ-გრატად.** (ხელის მოწერა რიგი)



# დევისი თბილისში

საქართველოს ვაჟთა ნაკრები 2-4 მაისს დევისის თასის გათამაშებაზე შეხვდება სლოვენიის გუნდს. ამ შეხვედრისთვის მზადებაზე გვესაუბრა საქართველოს ნაკრების მოთამაშე და უფროსი მწვრთნელი დავით კაჭარავა.

— ნაკრების სამი წევრი — ვლადიმერ მარგალიტაძე, გივი სამხარაძე და მე ახლახან დავბრუნდით საბერძნეთიდან, სადაც სამ ტურნირში ვმონაწილეობდით. ჩვენ მხოლოდ პირველ ტურნირში ვერ დავძლიეთ საკვალიფიკაციო ბარიერი, შემდეგ ორში კი ფინალისტთა შორის მოვხვდით. სლოვენებთან შეხვედრის წინ სატურნირო პრაქტიკა კი მივიღეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, იქ ხისტ კორტებზე მოგვიწია გამოსვლა, თბილისში კი თიხნარზე გველის თამაში.

რაც შეეხება 2-4 მაისის მატჩის პროგნოზს, ჩემი აზრით, ჩვენ და სლოვენია ერთნაირ დონეზე ვთამაშობთ და შანსებიც თანაბარია.

**ილია მჭედლიძე**



## NCAA. ოთხთა ფინალი ფინალი. ინდიანაპოლისი. 31 მარტი

### არიზონა — კენტუკი 84:79

**არიზონა:** ბიბი (19), საიმონი (30), დევისონი (9), დიკერსონი (6), ბრამლეტი (3); ტერი (8), ვუდერსონი (2), მეისონი (8)

**კენტუკი:** ტერნერი (8), ეფსი (11), ბერსერი (13), პადგეტი (17), მაღუაირ ედვარდსი, ფრიკეტი (6), მოჰამედი (12), მილზი (12), მასიელო

ნბა-ში სულ თითებზე ჩამოსათვლელია უქმე დღეები (შობას, ახალ წელს, ოლ-სტარის უიქენდზე). ერთ-ერთი ამნაირი დღე მაშინაცაა, როცა NCAA-ს, ანუ ამერიკის სტუდენტური ჩემპიონატის ფინალი იმართება ხოლმე. 31 მარტიც ნბა-ში უქმედ გამოცხადდა და მთელი ამერიკა ტელევიზორს მიუჯდა, რათა სტუდენტთა ჩემპიონის გამოვლენისთვის ეცქირა.

ფავორიტი კენტუკი იყო — შარშანდელი ჩემპიონი. ეს გუნდი ცდილობდა გაემეორებინა დიუკის უნივერსიტეტის შედეგი, როცა 1942 წელს ზედიზედ მეორედ მოიპოვა ჩემპიონობა. ამ მხრივ კი რეკორდი UCLA-ს (უნივერსიტი კალიფორნია ლოს-ანჯელეს) ეკუთვნის — 1973 წელს მან ზედიზედ მეშვიდედ დაისაკუთრა ტიტული.

არიზონა კი „ოთხთა ფინალშიც" ძლივს მოხვდა: აქ გასასვლელი მატჩი დამატებით დროში მოუგო პროვიდენსს. რეგულარულ ჩემპიონატში არიზონელებმა 25 შეხვედრა მოიგეს და 9 წააგეს. ჩემპიონად გამხდარ გუნდს ამაზე უარესი შედეგი ერთადერთხელ ჰქონდა: 1988 წელს კანზასმა 27 მოიგო და 11 წააგო.

არიზონას სულ ყმაწვილკაცები ჰყავდა. სასტარტო ხუთეულში სამი მესამეკურსელი, თითო მეორეკურსელი და ერთიც პირველკურსელი იყვნენ. მატჩიც უკანასკნელებმა, მესამეკურსელმა მაილზ საიმონმა და პირველკურსელმა მაიკ ბიბიმ მოიგეს, ამისთვის მათ დამატებით დროში მოუხდათ ოსტატობის ჩვენება. აღსანიშნავია, რომ რეგულარული სეზონის საწყისი 11 მატჩი საიმონმა გამოტოვა — აკადემიურ მოსწრებასთან დაკავშირებული პრობლემის გამო.




## ევროპის თასი. ნახევარფინალი. ორ მოგებამდე საპასუხო მატჩები. 1 აპრილი

ირაკლისი (საბერძნეთი) — რიელო (იტალია) 76:56 (62:96)
პარი სენ ჟერმენი (საფრანგეთი) — რეალი (ესპანეთი) 56:58 (57:62)

### ფინალი. 15 აპრილი. ნიქოზია

რიელო (იტალია) — რეალი (ესპანეთი)

## ევროლიგა. მეოთხედფინალი საპასუხო მატჩები. 1 აპრილი

ოლიმპია (სლოვენია) — სტეფანელი (იტალია) 73:69. სერია 1:1
ვილერბანი (საფრანგეთი) — ეფეს პილსენი (თურქეთი) 80:70. სერია 1:1
ბარსელონა (ესპანეთი) — ტიმსისტემი (იტალია) 75:73. სერია 1:1
*ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი) 64:57*

***გამოყოფილი გუნდი გავიდა „ოთხთა ფინალში". გადამწყვეტი მატჩები გაიმართება 3 აპრილს.***

„ოლიმპიაკოსმა" წარმატებით დაამთავრა ახლად დაწყებული საქმე და თანაქალაქელებთან ჭიდილში მეოთხედფინალისტებიდან პირველმა მოიპოვა „ოთხთა ფინალის" საგზური. ეს შეჯიბრება 22-24 აპრილს გაიმართება რომში.

ლიუბლიანის დარბაზმა მხოლოდ 4 500 მაყურებელი დაიტია, დანარჩენები კი გარეთ დამონტაჟებულ გიგანტურ ტელეეკრანებზე ადევნებდნენ თვალს თავიანთ და ჟუჟა სტეფანიას „ოლიმპიას" გამარჯვებას. ამ თამაშში ყველაზე შედეგიანები ამერიკელები იყვნენ. მართალია, იტალიელთა ურიენ კალმა (24 ქულა) აჯობა სლოვენიელთა ერიელ მაკდონალდს (14), მაგრამ მის გუნდს მაინც მოუწევს მილანში მესამე შეხვედრის გამართვა.

„ბარსელონამ" პირველი ტაიმი 48:32 მოუგო „ტიმსისტემს", მაგრამ მერე მოეშვა და კინალამ ვადაზე ადრე ჩააბარა რომის ბილეთები იტალიელებს.

ვილერბანში კი ბოლო წუთებამდე დაძაბული მატჩი იყო. დამთავრებამდე 13 წუთით ადრე 51:51 იყო, ცხრა წუთით ადრე — 61:61. ბოლოსკენ თურქები დაიღალნენ და მათ ვერც რუსი კარასიოვის (14 ქულა) კარგმა თამაშმა უშველა.

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

### 1 აპრილი

ნიუ იორკი — კლივლენდი 94:88, მაიამი — კლიპერსი 97:87, ფილადელფია — ორლანდო 106:93, ლეიკერსი — სიეტლი 99:97, ჩიკაგო — ბოსტონი 111:106, დეტროიტი — დალასი 100:82, ვაშინგტონი — ინდიანა 104:100, ჰიუსტონი — დენვერი 116:99, გოლდენ სტეიტი — პორტლენდი 91:82, მილუოკი — ვანკუვერი 102:91

### აღმოსავლეთის კონფერენცია

| | | | |
|---|---|---|---|
| *ჩიკაგო* | 63 | 9 | 87,5 |
| *მაიამი* | 54 | 18 | 75,0 |
| *ნიუ იორკი* | 52 | 21 | 71,2 |
| *ატლანტა* | 50 | 22 | 69,4 |
| *დეტროიტი* | 50 | 22 | 69,4 |
| შარლოტი | 45 | 26 | 63,4 |
| ორლანდო | 40 | 32 | 55,6 |
| კლივლენდი | 37 | 35 | 51,4 |
| ვაშინგტონი | 37 | 35 | 51,4 |
| ინდიანა | 35 | 37 | 48,6 |
| მილუოკი | 29 | 43 | 40,3 |
| ტორონტო | 26 | 47 | 35,6 |
| ნიუ ჯერსი | 23 | 48 | 32,4 |
| ფილადელფია | 21 | 50 | 29,6 |
| ბოსტონი | 13 | 60 | 17,8 |

### დასავლეთის კონფერენცია

| | | | |
|---|---|---|---|
| *იუტა* | 54 | 17 | 76,1 |
| *სიეტლი* | 50 | 23 | 68,5 |
| *ჰიუსტონი* | 49 | 23 | 68,1 |
| *ლეიკერსი* | 49 | 23 | 68,1 |
| *პორტლენდი* | 43 | 31 | 58,1 |
| მინესოტა | 35 | 37 | 48,6 |
| ფინიქსი | 33 | 39 | 45,8 |
| კლიპერსი | 31 | 41 | 43,1 |
| საკრამენტო | 29 | 43 | 40,3 |
| გოლდენ სტეიტი | 26 | 46 | 36,1 |
| დალასი | 22 | 50 | 30,6 |
| დენვერი | 20 | 52 | 27,8 |
| სან ანტონიო | 18 | 53 | 25,4 |
| ვანკუვერი | 12 | 63 | 16,0 |

*გამოყოფილი გუნდები გავიდნენ ფლეი-ოფში*

მარტში მოვლენები ისე განვითარდა, რომ თვის საუკეთესო მოთამაშის ვინაობა ვეგს არ იწვევდა. „იუტას" ფორვარდი კარლ მელოუნი ზედიზედ ორჯერ გახდა კვირის მოთამაშე, 15 მატჩში საშუალოდ 31,0 ქულა, 9,0 მოხსნა და 4,2 პასი გააკეთა. სროლათა 59,1 პროცენტი ჩააგდო (303-დან 179). ამავე თვეში მელოუნმა ნბა-ს ყველა დროის ბომბარდირებში მე-10 ადგილზე გადაინაცვლა, თანაც გახდა მე-5 მოთამაშე, ვისაც კარიერულად 25 ათას ქულასა და 10 ათას მოხსნაზე მეტი აქვს გაკეთებული.

# ჩხუბი არ გვინდა

ვერის ბაღი. 2 აპრილი.
მეორე წრის გამოტოვებული მატჩი

### სდასუ — აზოტი 85:80

**სდასუ:** აბრამიძე (13), დავითულიანი (24), აბულაძე (5), მუშკუდიანი (8), დერიუგინი (24); ბენდელიანი (2), გაგნიძე

**აზოტი:** გაბისონია (9), კაკაძე (7), გოგოლაძე (4), კვჭავმაძე (12), ბოისა (27); კოქლამაზაშვილი (13), ნაკაური (8)

რუსთავის „აზოტმა" მისი ორი მოთამაშის თექვსმეტწლამდელთა ნაკრებში მიწვევის გამო ხუთეულის მეორე წრე გამოტოვა და ახლა ინაზღაურებს დანაკლისს.

სდასუსთან მატჩში დიდ ინტერესს იწვევდა სახელოვანი ვეტერანი დერიუგინისა და ძალიან პერსპექტიული ჭაბუკი ბოისას დუელი. მატჩიც მათი ზუსტი სროლებით დაიწყო. დერიუგინი ფარქვეშ ბატონობდა. ბოისამ კი სამქულიანების ტყორცნა სცადა, რადგან რუსთაველთა მეორე ცენტრის ჯაფარიძის არყოფნაში დერიუგინთან ფარქვეშ ბრძოლა გაუჭირდა.

დერიუგინი კი ისეთ ფორმაშია... ასაკი რომ არ ახსოვდეს კაცს, იტყვის, კოლია კიდევ მოუმატებსო. სწორედ მისი და დავითულიანის ჩინებული თამაშის წყალობით სდასუ სწრაფად დაწინაურდა და პირველ ნახევარში რუსთაველებს მხოლოდ ერთხელ მისცა დაწევის საშუალება. ტაიმი სდასუმ თორმეტი ქულით მოიგო — 44:32.

მეორე ნახევრის დასაწყისში რუსთაველებმა ოთხ ქულამდე შეამცირეს სხვაობა, მაგრამ სტუდენტებმა უმალ დაალაგეს თამაში და მატჩის ბოლომდე 10-12 ქულით იყვნენ წინ. ორწუთნახევრით ადრე სდასუმ დაასვენა თავისი ლიდერები — აბრამიძე, დავითულიანი, დერიუგინი და მოედანზე ის კალათბურთელები შეუშვა, რომელთაც ნაკლებად უწევდათ თამაში. „აზოტმა" შეუტია და, სტუდენტთა კაპიტანი აბრამიძე რომ არ დაბრუნებულიყო მოედანზე, სტუდენტებს შესაძლოა მოგებულ შეხვედრაში მარცხიც ეწვნიათ.

### VI — XII ადგილებისთვის

**ახკ — იმერეთი 101:64, მაკაბი — დინამო 2 84:82, კოლხა — კაქტუსი 58:52**

ქუთაისელებმა, როგორც იქნა, ჩამოაღწიეს თბილისში, მაგრამ მათი ლიდერის ბერეკაშვილის კარგი თამაშის მიუხედავად (40 ქულა), ახკ-ელებთან დიდი ანგარიშით მარცხს ვერ გადაურჩნენ.

დაძაბული იყო „მაკაბისა" და დინამოელთა მეორე გუნდის შეხვედრა. მატჩის დამთავრებამდე 5 წამით ადრე, როცა ანგარიში იყო 82:82, დინამოელებმა ფარქვეშიდან ვერ იხეირეს. ბურთი ხელში ჩაუვარდა ანდღულაძეს, რომელმაც ბოლო წამზე სწრაფი გარღვევით გამარჯვება მოუტანა თავისიანებს.

დაძაბულად, მაგრამ დიდძალი ორმხრივი შეცდომებით წარიმართა „კოლხა" — „კაქტუსის" შეხვედრა. ეს, ალბათ, იმან განაპირობა, რომ მეშვიდე წუთზე კოლხელი კაჭაძისა და კაქტუსელი ნაცვლიშვილის წაკინკლავება ლამის გუნდურ ჩხუბში გადაიზარდა. ეს კი არა, ახალგაზრდა კალათბურთელებს აქა-იქ რამდენიმე ასაკოვანი გულშემატკივარიც აჰყვა და მატჩი 25 წუთით შეწყდა. მსაჯმა ჩხუბის ორივე მოთავე გააძევა მოედნიდან, მათ საქციელზე კი კალათბურთის ფედერაცია იმსჯელებს. ისიც უნდა ითქვას, რომ თამაშის განახლების შემდეგ არავითარი ინციდენტი აღარ მომხდარა, თუმცა ჩხუბით გამოწვეული ნერვიულობა, ცხადია, თამაშის ხარისხს დაეტყო, რაც თავის მხრივ კალათბურთისთვის ასე მცირე ანგარიშში აისახა.

უკვე გაცნობეთ, რომ საქართველოს 16 წლამდელთა ნაკრები ევროპის შესარჩევი ტურნირისთვის უკეთ მოსამზადებლად მინსკში იყო ტურნირზე. როგორც ნაკრების მწვრთნელმა მერაბ ცირეკიძემ გვითხრა, მინსკში არ ჩასულა ტურნირის მესამე მონაწილე ლატვიის ნაკრები და ამიტომ ჩვენებმა სამი მატჩი გამართეს ბელარუს თანატოლებთან. ჩვენებმა სამივე შეხვედრა საგრძნობი უპირატესობით მოიგეს — 76:60, 91:79, 81:61.

**კოტე მგალობლიშვილი**

**სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ**

**2-4 მაისს თბილისში ტარდება ჩოგბურთში დევისის თასის მატჩი საქართველოსა და სლოვენიის გუნდებს შორის. აკრედიტაციისთვის 15 აპრილამდე მიმართეთ ჩოგბურთის ფედერაციას.**

მისამართი: მარჯანიშვილის 29



## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**31 მარტი.** პიტსბურგი — ნიუ ჯერსი ... ედმონტონი — ... 1:3
**1 აპრილი.** რეინჯერსი — ბუფალო 1:1, ფილადელფია — ... 1:1, ვაშინგტონი — ... , დეტროიტი — ... ლუისი 1:1, ფინიქსი — სან ხოსე 7:1, ანაჰაიმი — ჩიკაგო 3:3

საცაა, დასრულდება ნჰლ-ს ჩემპიონატი. მანამდე კი ერთის თქმა შეიძლება: წლევანდელი სეზონი უდაოდ მეკარეთა ტრიუმფით გამოირჩა. ამაზე სტატისტიკაც მეტყველებს — მარტო „მშრალი" მატჩების რაოდენობის დასახელებაც იკმარებს: თუ წინა ორ სეზონში გოლკიპერებმა 100 ასეთი შეხვედრაც ვერ ჩაატარეს, წლეულს „შათაუტები" 120-ზე მეტი იყო. ახლაც, მორიგ მატჩებში ნიუ ჯერსის გოლკიპერი, ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო ბროდო გამოირჩა. მიუხედავად იმისა, რომ „ეშმაკთა" მეტოქე ვაშინგტონმა ყველა ღონე იხმარა, ბროდოს ვერაფერი დააკლო და ამანაც მორიგი, მე-8 „შათაუტი" მიითვალა, რაც სეზონის რეკორდია. ვაშინგტონმა კი, რომელსაც ჰაერივით სჭირდებოდა ქულები, ზედიზედ მესამედ წააგო და ჯერჯერობით ფლეი-ოფის მიღმა რჩება.

საგრძნობლად შეიცვალა მეკარეთა პირადი კოეფიციენტიც, ანუ ერთ მატჩში გაშვებული შაიბების საშუალო რაოდენობა. თუ ადრე რჩეულები 2,50 და ოდნავ მეტი კოეფიციენტებით იწონებდნენ თავს, წელს ამ შედეგის მქონე გოლკიპერები ათეულშიც ვერ ხვდებიან. ამ მხრივაც საუკეთესო ბროდოა, რომლის შედეგიც ერთობ უჩვეულოა: 1,93.

გასულ რვა მატჩში ერთბაშად ათმა მეკარემ (!) იყოჩაღა და ერთ შაიბაზე მეტი არ გაუშვა. თუმცა, მათ შორისაც არიან სხვათა მჯობნი: სეზონის უძვირფასესი ჰოკეისტის ტიტულის მაძიებელი ბუფალოელი ჰაშეკი და ტამპელი პუპა. ჩეხი მცირე ტრავმის შემდეგ კვლავ ფორმაშია და 37 მოგერიებული დარტყმით კლუბის 3-მატჩიანი უიღბლო სერია შეწყვიტა. თანაც ერთადერთი შაიბა „რეინჯერებმა" მხოლოდ ბოლო პერიოდში გაახერხეს. ეს ტიკანენის პირველი გოლია ახალ კლუბში.

ჰაშეკის კოლეგა — სეზონის დასაწყისში მძიმედ დაშავებული პუპა ერთხანს კარიერის დამთავრებასაც კი აპირებდა, მაგრამ შემდეგ ძალა მოიკრიბა და კლუბისთვის კრიტიკულ ჟამს კვლავ ჩადგა კარში. ფლორიდასთან და ფილადელფიასთან ჩატარებულ მატჩებში პუპამ მხოლოდ თითო-თითო შაიბა გაუშვა და თავის გუნდს ერთგვარი იმედიც ჩაუსახა. გოლკიპერებზე საუბარს ერთი ფაქტის აღნიშვნით დავასრულებთ: იმ გუნდებმა, რომელთაც საიმედო მეკარეები ჰყავთ, ჩემპიონატი კრიზისის გარეშე განვლეს. ესენია: ბროდოს ნიუ ჯერსი, ჰაშეკის ბუფალო, ლიგის საუკეთესო გოლკიპერად სამჯერ დასახელებული რუას კოლორადო, რომელიც მხოლოდ რუას მონრეალიდან გამოყვანის შემდეგ იქცა ლიგის ერთ-ერთ ფავორიტად, და სამი თანაბარი ძალის გოლკიპერის მფლობელი დალასი. სიტყვამ მოიტანა და „ვარსკვლავებმა" უდიდეს პროგრესს მიაღწიეს — ედმონტონის დამარცხების შემდეგ მხოლოდ სამი ქულით ჩამორჩებიან კლუბის რეკორდს (101 ქულა). გამარჯვებებს მათ ახალი რეკორდიც — 46 მოგება მოაყოლეს.

ამ მეკარეთა გვერდით ძალზე უფერულად გამოიყურებიან ნჰლ-ის განთქმული ფორვარდები. თუმცა, პიტსბურგის სუპერვარსკვლავებზე — ლემიესა და იაგრზე ეს არ ითქმის. ისინი შარშანდელივით თავკაცობენ ბომბარდირთა სიას. მორიგ მატჩში ამ დუეტმა კვლავ აჩვენა თავისი ძალა. ფლორიდასთან სწორედ მათ გაიტანეს გადამწყვეტი შაიბები. თანაც იაგრისთვის ეს პირველი მიღწევაა გამოჯანმრთელების შემდეგ. და მაინც, მათი შედეგიანობა ძალზე ჩამორჩება თუნდაც შარშანდელ მაჩვენებელს. ახლა ლემიემ და იაგრმა 114 და 91 ქულა დააგროვეს, 1995-96 წლების სეზონში კი — 161 და 149. თუმცა, მეკარეთა უდაო უპირატესობა და თავდამსხმელთა არასახარბიელო შედეგიანობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ლიგაში საქმე რიგზე ვერ არის. ყოველივეს მიზეზი ასეთია: ახალგაზრდა გოლკიპერთა გვერდით „ჩანდაზმული" სუპერბომბარდირები, რაღა თქმა უნდა, სასურველად ვერ გამოიყურებიან. საკმარისია ითქვას, რომ თავის ბოლო სეზონს ატარებს მარიო ლემიე. არც გრეცკისთან გამომშვიდობების დღეა შორს.

კვირას დალასთან დამარცხების შემდეგ საბოლოოდ დაემშვიდობა ფლეი-ოფს ვანკუვერი.

მარტის საუკეთესო მოთამაშედ დალასელი მოდანო აღიარეს, ხოლო წინა კვირისა — პიტსბურგელი სლოვაკი პალფი (5 შაიბა და 2 პასი 3 მატჩში)

**სამველ ღარიბიანი**

## აფროსნობა



### თასს რაღას ერჩოდა?

აფროსანთა გრაალი „ამერიკის თასია". იგი 1851 წელსაა დაწესებული და მას აქეთ თამაშდება, მეტწილად ყოველ ოთხ წელიწადში. დასაბამიდან დღემდე იგი თითქმის სულ ამერიკელებს ეპყრათ — ჯერ ნიუ-იორკის, მერე კი სან-დიეგოს იახტ-კლუბებს. მხოლოდ ორჯერ წაგვარეს უცხოელებმა იანკებს ეს სანუკვარი ჯილდო: 1983 წელს იგი პერთის (დას. ავსტრლია) გუნდმა მოიგო, 1995 წლის 13 მაისს კი — ახალი ზელანდიის „ბლექ მეჯიქმა" (შავმა მაგიამ). მაშინ გამარჯვებულთა ქვეყანა სიხარულით ჭკუაზე გადავიდა, რაკი აფროსანთა წამოწყება მთელს ერს გაეთავისებინა და მის წარმატებაში წვლილიც შეეტანა.

ახლა ირკვევა, რომ „მეჯიქის" „ძლევაი საკვირველი" ზელანდიაში ყველას როდი გახარებია. თასი გამარჯვებულებმა ოქლენდის იახტ-კლუბში გამოფინეს და 1999 წელს მის დასაცავად დაიწყეს მზადება. ამისთვის ოქლენდის ბოლაზი ხელახლა უნდა გაშენდეს და ოლიმპიური სოფლის ანალოგ „ამერიკის თასის სოფლად" გადაკეთდეს ისე, რომ ყოველ მოცილეს საკუთარი იახტ-კლუბი ჰქონდეს.

ეს თურმე არ სიამოვნებს ქვეყნის აბორიგენ მოსახლეობას — მაორებს. ბოლაზის განახლებით მათ წაუხდებათ სათევზაო ადგილები და სარჩო-საბადებელი მოაკლდებათ.

მაორები, ზელანდიის მოსახლეობის 15 პროცენტსლა რომ შეადგენენ, ბოლო ხანს ერთობ გააქტიურდნენ. სკოლებსა და უნივერსიტეტებში თავიანთი ენის სწავლება შემოაღებინეს და სათევზაო ადგილების გარდა მიწასაც ეცილებიან თეთრ „პაკეჰებს". მაორთა ზოგი ექსტრემისტული ორგანიზაცია ზელანდიის თეთრი კოლონიზაციის გაუქმებსაც ითხოვს!

ერთი ამგვარი ჯგუფის — „რანგატირანგას განთავისუფლების" წევრი, 27 წლის ბენჯამინ ნეითენი ამას წინათ ევროპულ ტანისამოსში გამოწყობილი შევიდა ოქლენდის იახტ-კლუბში, ხელჩანთით ურო შეიტანა და გავეშებულმა „ამერიკის თასი" სულ მილეწ-მოლეწა. ჯილდო დამწუხრებულმა ზელანდიელებმა აღსადგენად ინგლისს გააგზავნეს.

„სარბიელში"
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90

## ჩოგბურთი

# VII დედოფალი

16 წლის მარტინა ჰინგისი ამ კვირიდან მსოფლიოს პირველი ჩოგანია. სლოვაკეთში დაბადებული ვუნდერკინდის აღსაყრდებამდე დიაცთა ჩოგბურთის ტახტი ექვს მოთამაშეს ჭერია. მათგან ზეობა ყველაზე მეტხანს — 374 კვირას გაგრძელებია გრაფს, ვინაც ახლა დაშავებულია. ჰოდა, შვეიცარელ გოგოს წოდება მეტისმეტად იოლად ერგო.

| | დედოფალი | აღსაყდრება | | | ზეობა |
|---|---|---|---|---|---|
| I | ქრის ევერტი | | XI | 75 | 262 |
| II | მარტინა ნავრატილოვა | 10 | VII | 78 | 331 |
| III | თრეისი ოსთინი | 7 | IV | 80 | 22 |
| IV | შტეფი გრაფი | 17 | VIII | 87 | 374 |
| V | მონიკა სელეში | 11 | III | 91 | 178 |
| VI | არანჩა სანჩესი | 6 | II | 95 | 12 |
| VII | მარტინა ჰინგისი | 31 | III | 97 | 1 |



ჰინგისს ცხენების გარდა სხვა ცხოველებიც უყვარს. კი-ბისკეინში (ფლორიდა) რომ თამაშობდა, მაიამის აკვარიუმში სელაპსაც მოუალერსა (როიტერი)

ჰინგისი წელს დაუმარცხებელია — ხუთ ტურნირში 26-ვე თამაში მოიგო. ჰონორარიც უკვე მილიონზე მეტი მოუგროვდა, რითაც სხვებს ბევრად უსწრებს.

ამ კვირაში მარტინა ჰილტონ-ჰედ-აილენდში (სამხ. კაროლინა, აშშ), „ფემილი სერქლ მეგეზინ ქაფზე" თამაშობს. სხვა ბობოლა განთესილების დარად ჰინგისი პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში კი სამშაბათს 6:0, 6:4 ძლია გერმანელი ბარბარა რიტნერი.

| შემდეგი კვირიდან განსათესი ქალები | | | ქულა | * | US $ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | მარტინა ჰინგისი | შვეიცარია | 4711 | 1 | 1,053,115 |
| 2 | შტეფი გრაფი | გერმანია | 4279 | 22 | 83,601 |
| 3 | იანა ნოვოტნა | ჩეხეთი | 3427 | 11 | 127,950 |
| 4 | არანჩა სანჩესი | ესპანეთი | 3409 | 9 | 148,700 |
| 5 | მონიკა სელეში | აშშ | 3221 | 15 | 108,450 |
| 6 | კონჩიტა მარტინესი | ესპანეთი | 2880 | 19 | 86,285 |
| 7 | ანკე ჰუბერი | გერმანია | 2538 | 10 | 140,607 |
| 8 | ლინდზი დავენპორტი | აშშ | 2485 | 2 | 412,616 |
| 9 | ირინა სპირლეა | რუმინეთი | 2266 | 6 | 204,395 |
| 10 | ივა მაიოლი | ხორვატია | 2254 | 7 | 179,214 |
| 11 | მერი-ჯო ფერნანდესი | აშშ | 1792 | 5 | 211,394 |
| 12 | კარინა ჰაბსუდოვა | სლოვაკეთი | 1784 | 26 | 71,794 |
| 13 | ბარბარა პაულუსი | ავსტრია | 1696 | 23 | 81,790 |
| 14 | მარი პირსი | საფრანგეთი | 1594 | 3 | 230,529 |
| 15 | ამანდა კუტცერი | სამხრ. აფრიკა | 1489 | 8 | 148,748 |
| 16 | ქიმბერლი პო | აშშ | 1462 | 12 | 117,053 |

* წელს მოხვეჭილი ფულის მიხედვით მიკუთვნებული ადგილი

### აგასიც მარაქაში გაერია



ვაჟთა პროფ-ტურზე ამ კვირაში დიდი არაფერი ხდება, რაკი კონკურენტის — საერთაშორისო ფედერაციის დევისის თასის მეორე წრეა. 26 წლის გრანდი ანდრე აგასი ამ კვირიდან კლასიფიკაციაში 29-ე ადგილამდე დაეშვა და წელს გამართული 8 მატჩიდან ბოლო 5 ზედიზედაც წააგო, მაგრამ ახლა თავი გამოიდო, აშშ-ის ნაკრებში უნდა ვითამაშო, ვინძლო ქვეყნის სახელით ასპარეზობამ პასუხისმგებლობის გრძნობა გამიმახვილოს და რამე მეშველოსო. აგასის ბოლო წლებში ბევრჯერ უგანია ნაკრებისათვის, თუმცკი დევისის თასზე გამართული ბოლო 13 მატჩი მოგებული აქვს.

### დევისის თასის მსოფლიო ჯგუფი

#### მეოთხედფინალი

4-6 აპრილი

ნიუპორტ-ბიჩი (კალიფორნია): აშშ (ანდრე აგასი, ჯიმ კურიე, ჯონათან სთარქი, რიკ ლიჩი; კაპიტანი თომ გალიქსონი) — ჰოლანდია (იან სიმერინკი, პაულ ჰაარჰუისი, შენგ სხალკენი, იაკო ელტინჰი; კაპ სთენლი ფრანკერი)

ადელაიდა): ავსტრალია (მარკ ფილიპუსისი, პატ რაფთერი, თოდ ვუდბრიჯი, მარკ ვუდფორდი; კაპ ჯონ ნიუკომბი) — ჩეხეთი (მარტინ დამი, ირჟი ნოვაკი, დავიდ რიკლი, პაველ ვიზნერი; კაპ ვლადისლავ სვარდა)

პეზარო: იტალია (რენცო ფურლანი, ომარ კამპორეზე, მარციო მარტელი, დიეგო ნარჯიზო; კაპ ადრიანო პანატა) — ესპანეთი (კარლოს მოია, ალბერტ კოსტა, ხავიერ სანჩესი, ფრანსისკო როიხი; კაპ მანოლო სანტანა)

ვექშო: შვედეთი (თომას ენკვისტი, იონას ბიორკმანი, მაგნუს ლარსონი, ნიკლას კულტი; კაპ კარლ-აქსელ ჰაგესკოგი) — სამხრეთი აფრიკა (ვეინ ფერერა, გრანტ სტაფორდი, ელის ფერერა, დევიდ ადამსი; კაპ დანი ფისერი)

## ტელევიზია

### საქართველოს დროით!

დღეს, ხუთშაბათს, 3 აპრილს

11.30 ავტოჟურნალი „ძრავები"; 13.00 გიჟმაჟობა. კალიფორნიიდან; 14.00 ღლაბუცი: მსოფლიოს საჰაერო ფესტივალი. თურქეთიდან; 15.00 ფეხბურთი: მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები; 17.00 სათხილამურო კროსი (მ); 18.00 ცაში ლივლივი. საფრანგეთიდან; 18.30 ზეკაცთა სამჭიდი (მ); 19.30 გიჟმაჟობა (-); 20.30 „სრბოლა": საგიჟმაჟო ჟურნალი; 21.00 ფეხბურთი: ამხანაგური მატჩი. ბრაზილია — ჩილე; 23.00 ღლაბუცი: „შეახტი ავტობუსს!"; 24.00 ფეხბურთი: შესარჩევები. პოლონეთი — იტალია და სხვებიც; 3.00 „სრბოლა" (-); 4.00 საკალათბურთო ჟურნალი „სლემ" (4.30-მდე)

ხვალ, პარასკევს, 4 აპრილს

11.30 ფეხბურთი: შესარჩევები; 13.00 გიჟმაჟობა (-); 14.00 ციგურაობა: შორთ-თრექის გუნდური მსოფლიო პირველობა. სეულიდან (პ); 17.00 მსოფლიო ავტოსპორტის ჟურნალი; 18.00 სნოუბორდი: საერთაშორისო ფედერაციის ტური. აშშ-დან; 18.30 თხილამურობა: სავოიიდან (საფრანგეთი); 19.00 ველოკროსი: კატალონიის ტური; 19.30 გიჟმაჟობა (-); 20.30 „სრბოლა" (-); 21.00 ფეხბურთი: პოლონეთი — იტალია (-); 23.00 გორგოლაჭებით ციგურაობა: ბერსიდან (პარიზი); 24.00 ჭერქვეშ ტრაქტორობანა. ცვოლედან (პოლანდია); 1.00 კრივი: ქვემძიმე წონა. ქრის იუბენქი — ს. ლანდბერგი (10 რაუნდი); 2.00 „შეახტი ავტობუსს!" (-); 3.00 წყალბურთი: ევროპის ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალები

საბურთალო — ვერე — ვაკის VII არხით

დღეს, ხუთშაბათს, 3 აპრილს

7.30 გოლფი. ევროპის პროფ-ტური. მადეირას ღია პირველობა (რ); 8.30 (?); 9.30 აზიური ფეხბურთი (მ); 10.30 კრიკეტი: შარჯას თასი. ზიმბაბვე — შრილანკა (პ); 14.00 გოლფი: პროფ-ტური (მ); 14.45 კრიკეტი: (-) (გ); 18.30 რესლინგი; 19.30 კრიკეტი: სამხ. აფრიკა — ავსტრალია (III თითოდღიანი); 20.30 კრიკეტი: ვესტ-ინდოეთი — ინდოეთი. IV ტესტის წარდგენა; 21.30 კრიკეტი: შარჯას თასი (რ); 22.00 გოლფი: აშშ-ის ტური. მოთამაშეთა პირველობა (III დღე); 1.00 ფეხბურთი: ესპანეთის ლიგა (რ); 1.30 მსოფლიო სპორტი (მ); 2.30 მსოფლიო რაგბი; 4.30 (?); 6.30 კრიკეტი: წარდგენა (-)

ხვალ, პარასკევს, 4 აპრილს

7.30 კრიკეტი: შარჯა (რ); 8.00 მსოფლიო ავტოსპორტი (მ); 9.00 (?); 9.30 კრიკეტი: შარჯას თასი. პაკისტანი — შრილანკა (პ); 13.15 ფეხბურთი: ესპანეთი (რ); 14.15 კრიკეტი: (-) (გ); 18.00 რესლინგი; 19.00 კრიკეტი: ვესტ-ინდოეთი — ინდოეთი (IV ტესტი) ანტიგუადან (პ); 21.00 ინდური სპორტი (მ); 21.45 კრიკეტი: (-) (გ); 2.00 გოლფი: მოთამაშეთა (ბოლო დღე); 4.30 გოლფი: მადეირა (რ); 5.30 ინდური სპორტი (მ); 6.00 ფეხბურთი: ესპანეთი (რ); 6.30 კრიკეტი: (-) I დღე (რ)

ზეგ, შაბათს, 5 აპრილს, შუადღემდე

7.30 რესლინგი; 8.30 კალათბურთი: ნბა (მ); 9.00 კრიკეტის კვირეული; 9.30 აზიური ფეხბურთი (მ); 10.30 გოლფი: მოთამაშეთა (-); 13.00 კრიკეტი: (-) IV ტესტი, I დღე (რ); 14.00 რესლინგი

(-) იგივე; (?) ექსპრომტად; (ა) ახალი ამბები; (გ) გაგრძელება; (მ) მიმოხილვა; (პ) პირდაპირ; (რ) რჩეული

## რაგბი

### ზე-12-ის სერიალი

# მსაჯობა არც იქ მოწონთ

V კვირა

28.03. კანბერა. დედაქალაქი (ავსტრალია) 38 (8) (5ლ: როფე 3, ქოქერი, ჰარდი; 2გ, 3ს: ნოქსი) — ჩრდ. ტრანსვაალი (აფრიკა) 19 (5) (3ლ: ოლიფიე, ფანფურენი, ბრუქსი; 2გ: ფანრენსბურგი)

29.03. თიმარუ. ქენთებრი (ზელანდია) 24 (6) (2ლ: გიბსონი, ნეპია; გ, 3ს, ა: მერთენსი) — ვაიქათო (ზ) 15 (10) (2ლ: დაგანი, მიჩელი; გ, ს: კუპერი)

იოჰანესბურგი. ჰაუტენგი (აფრ) 35 (20) (4ლ: ჯილინგემი, კრაუზე, დიუტუა, მულდერი; 3გ, 3ს: ჯონსონი) — ველინგთონი (ზ) 37 (25) (3ლ: ქალენი 2, ოჰალორანი; 2გ, 6ს: პრესტონი)

დურბანი. ნატალი (აფრ) 28 (15) (ლ: პათი; გ, 7ს: ლოლისი) — ახ. სამხრ. უელსი (სიდნეი, ავსტ) 23 (13) (2ლ: ქემფიზი, თუმზი; 2გ, 3ს: ბერქი)

30.03. ინვერქარგილი. ოთაგო (ზ) 18 (15) (6ს: ქლეინი) — ნარინჯი (აფრ) 49 (21) (7ლ: დროცკე 2, ბადენჰორსტი 2, ელსი, დიურანი, ა. ფენტერი; 7გ: დებეერი)

31.03. ოქლენდი. ოქლენდი (ზ) 49 (17) (6ლ: ლიმა 2, ბლაუერსი 2, სპენსერი, ვიდირი; 5გ, 3ს: ქეშმორი) — ქვინზლენდი (ავსტ) 26 (6) (2ლ: ლითლი, ჰინი; 2გ, 4ს: ილზი)

| | თ | მ | წ | ფ | + | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჰაუტენგი | 5 | 4 | 1 | 0 | 4 | 186:149 | 20 |
| ოქლენდი | 4 | 3 | 0 | 1 | 2 | 139: 97 | 16 |
| ნატალი | 4 | 3 | 1 | 0 | 4 | 178:137 | 16 |
| კანბერა | 5 | 3 | 2 | 0 | 4 | 173:146 | 16 |
| ნარინჯი | 5 | 3 | 2 | 0 | 2 | 164:130 | 14 |
| ვაიქათო | 5 | 3 | 2 | 0 | 0 | 118:110 | 12 |
| ველინგთონი | 4 | 2 | 2 | 0 | 3 | 136:109 | 11 |
| ქენთებრი | 4 | 2 | 2 | 0 | 1 | 80:106 | 9 |
| ჩრდ. ტრანსვ. | 5 | 1 | 3 | 1 | 2 | 112:172 | 8 |
| ახ. სამხრ. უელ. | 4 | 1 | 3 | 0 | 2 | 101:105 | 6 |
| ოთაგო | 4 | 1 | 3 | 0 | 2 | 117:178 | 6 |
| ქვინზლენდი | 5 | 0 | 5 | 0 | 1 | 88:153 | 1 |

ქულები: მოგება 4, წაგება 0, ფრე 2; არაუმეტეს 7 ბურთით წაგება ანაც მეოთხე ლელოს გატანა — თითო დამატებითი ქულა („+" გრაფა). მოწინავე ოთხეული გადის პლეი-ოფში

VI კვირა: 4.04. ოქლენდი — ქენთებრი, კანბერა — ნარინჯი, ნატალი — ველინგთონი; 5.04. ქვინზლენდი — ოთაგო, ახ. სამხრ. უელსი — ჩრდ. ტრანსვაალი

ავსტრალიის გუნდებმა მოითავეს აფრიკაში სტუმრობა და იქ ექვსივე მატჩიც წააგეს. ბოლოს ჯერმა სიდნეის „ვარათაზს" უწია.

დურბანში, 40 ათასი გულმხურვალე ქომაგის თვალწინ სტუმრები დასკვნითი 10 წუთის დადგომამდე 23:18 უგებდნენ ზე-12-ის შარშანდელ ფინალისტ „ზვიგენებს", მაგრამ მასპინძელთა მეგოლე მანქანამ — მცველმა გევინ ლოლისმა ჯერ ზედიზედ მეშვიდე საჯარიმო შეაგდო, მერე კი მარკ ენდრიუზის მიერ მოგებული დერეფნიდან მორკინალებმა ძალისმიერი სვლა წამოიწყეს, რაც მორიგი რაქის მერე 9 ნომერ კევინ პათის სტუმრების ლელოში შეძრომით დასრულდა.

მარცხმა ძალზედ განაწყენა „ვარათაზის" მწვრთნელი მეთ ვილიამსი. მან ბრძანა, ზე-12-ის მონაწილე თითოეულ ქვეყანას თამაშის წესები თავისებურად ესმის და რაკი მატჩებს მასპინძელი მსაჯები ემსახურებიან, ამის გამო სტუმარი ყოველთვის იჩაგრებაო. ვილიამსის აზრით, საგაისოდ უპრიანი იქნება მსაჯთა ცენტრალიზებული საძმოს შედგენა, წესების გამო მათი მორიგება და თამაშებზე ნეიტრალური ქვეყნის არბიტრის მივლენა.

აფერუმ მწვრთნელის ნოვატორობას! რაგბი ახლახა გაპროფესიულდა. ამიტომ ზოგი ცნობილი ჭეშმარიტების ხელახლა აღმოჩენაც უწევს ხოლმე. რაც შეეხება კონკრეტულად ამ მატჩს, აფრიკელმა მსაჯმა ტაპე ჰენინგმა მე-2 წუთზე მეთ ბერქის მიერ გატანილი ლელო თანამსაჯთან თათბირის შემდეგ გააუქმა, „ვარათაზის" კაპიტან თიმ გევინს ზოგი განაჩენის ახსნაზე უარი ტკიცა, ქემფიზი გინების გამო გააფრთხილა, 28 ჯარიმიდან კი 21 ნატალის სასარგებლოდ დანიშნა.

101 კეპის პატრონმა, 34 წლის დევიდ ქემფიზიმ იმ თბილ საღამოს 10 ნომრად (!?) ითამაშა და უკანა ხაზი ისე აბურთავა, რომ ქვეყნის ნაკრების მწვრთნელმა გრეგ სმითმა დიდ გარემარბს უმალ შეუთვალა, ეგებ ისევ დაგვიბრუნდეო. აი, ჩაუთვლელი ლელოს ჩანაწერის შესწავლით კი დადგინდა, რომ მსაჯი მართალი ყოფილა: ბურთის დამიწებამდე ბერქი თავით დაჯახებია კუთხის პალოს.



ზე-12-ში სიმარდე და სიხისტე ფრიად დონეზეა!

ზემოთ ჯასთინ მარშალს (ქენთებრი) ეჭიდება ფრენკ ბანსი (ვაიქათო)

ქვემოთ სტუ ფოსტერი (ოთაგო) ჩრდ. ტრანსვაალს უტევს (წინა ტურში)



ნატალმა წინა ტურში ახალბედა ნარინჯთან წააგო. ამ ტურში პირველი მარცხი იწვნია ტრანსვაალ-ყოფილმაც — ჰაუტენჰმა. ველინგთონმა წელს პირველად ათამაშა ნაკრების 15 ნომერი ქრისთიან ქალენი. მისი ფრიადი სიმარდის წყალობით სტუმარი „გრიგალები" საწყის მეოთხედში 19:3 დაწინაურდნენ. მერე და მერე მასპინძელმა „ლომებმა" ოთხი ლელო გაიტანეს და 72-ე წუთზე პირველადაც დაწინაურდნენ 32:31, მაგრამ გამარჯვება მაინც არ ეწერათ. დამრტყმელთა დუელში ბოლო გასროლა მოუწია ველინგთონელ ჯონ პრესტონს, ვინაც ბოლო გოლი 82-ე წუთზე გაიტანა. ეს უნივერსალი ნახევარმცველი იმითაა ცნობილი, რომ შარშან, პრეტორიაში, სამხრეთი აფრიკა — ახალი ზელანდიის გადამწყვეტ ტესტში კრიტიკულ მომენტში შემცვლელად შევიდა და მაშინაც აუღელვებლად შეაგდო საჯარიმოები.

ლიდერის გაწბილებისთვის ზელანდიას სამაგიერო გადაუხადა ნარინჯმა, რომელმაც თავიდან ალლო ვერ აუღო მასპინძელი კოლინ ჰოქის მსაჯობას. ამან სტუმრები ზედიზედ 11-ჯერ დააჯარიმა. ოთაგო წინ გაიჭრა, მაგრამ პირველი ნახევრის შუაწელში აფრიკელებმა 3-ლელოიანი 6-წუთა ბლიცი განახორციელეს. თავი ისახელეს ბურჯმა ოზ („ხარი") დიურანმა და კვაჰმა ნაკა დროცკემ. ისინი ზელანდიელებმა ვერაფრით ალაგმეს და თუმც შესვენების შემდეგ მეტოქეს ცოტა კიდევ გაუძალიანდნენ, მალე გატყდნენ და კიდევ 4 ლელო გაუშვეს.

ქენთებრის დაუბრუნდა ნაკრების გამოჯანმრთელებული 10 ნომერი ენდი მერთენსი და გაიმარჯვა, თუმცკი 50-ე წუთიდან 14 კაცის ამარა ეთამაშა ფავორიტ ვაიქათოს, რაკი კვაჰი ჰემითი გაუგდეს. კანბერის „რაშებმა" ბურთაობით გააპამპულეს ჩრდ. ტრანსვაალი, რომელიც 1970-იანი წლების ყაიდაზე — ჯაჭგურ-ჯაჭგურ და ფეხით თამაშს ეცადა, თუმცკი შვიდკაცას მსოფლიო თასიდან დაბრუნებოდნენ იუსტ ფანდერვესტჰოიზენი (9) და გარემარბი ჟაკ ოლიფიე. აფრიკელთა 10 ნომერი თეო ფანრენსბურგი ბურთს გაუთავებლად ურტყამდა მეტოქის ზურგისკენ, კანბერელთა ნორჩმა „ვოლაბმა" ჯო როფემ კი ბურთის წინ გაგდებითა და მიყოლით ჰეთ-თრიქი შეასრულა.

ტური აღდგომის ორშაბათს ოქლენდ — ქვინზლენდის მატჩით დასრულდა. „იდენ პარკზე" 30 ათასი კაცი შეგროვდა. მასპინძელმა „ლურჯებმა" საწყისი ერთი საათის მანძილზე საძაგლად ითამაშეს, მაგრამ „წითლები" ისე უმწეოდ გამოიყურებოდნენ, რომ ოქლენდი მაინც სულ წინ იყო. ბურთაობა დასკვნით 20 წუთშიღა გახურდა. ქვინზლენდმა ანგარიში 19:23-მდე შეამცირა, მაგრამ მერე ოქლენდმა 4 ლელოთი ზედიზედ 26 ქულა მოაგროვა. დამყარდა იშვიათი რეკორდიც: სათადარიგოთა სკამზე 1355 წუთის ჯდომის შემდეგ „ლურჯებმა" ბოლო 5 წუთში თამაშში ჩააბეს კვაჰი ენდრიუ რუსი.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მექველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
მერაბ რატიშვილი

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ლევან ჯავახიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტი მაია აბზიანიძე

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29